

საზღვრის-სამედიამური, 2021

Forbes Banker

GEORGIA



ახალი ლიბერთი

ვასილ ხოდელი თავის გუნდთან ერთად
ამბიციურ მიზანს ისახავს, რომელსაც
კონკრეტული სახელი აქვს – „ახალი ლიბერთი“.

PASTA & LOVE

the bonvivant way

ექსკლუზიური ინგრედიენტების შემცველი წვერის მოვლის საშუალებები
სამეტაპიანი პროცედურა: მომზადება, პარსვა, დატენიანება



PRE-SHAVE AND
BEARD OIL
წვერის
დამარბილებელი
ზეთი



SOOTHING
BEARD GEL
საპარსი გელი



AFTER SHAVE AND
MOISTURIZING
CREAM
დამატენიანებელი
კრემი



სარჩევი

Forbes Banker GEORGIA

#112, აგვისტო-სექტემბერი, 2021

[LEADERBOARD]

- 8 კავკასიის უმსხვილესი ბანკები
- 10 მსოფლიოს 20 უმსხვილესი ბანკი
- 14 ბანკები ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერებით
- 16 საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის რეიტინგი

[მოსაზრება]

- 18 საბანკო სექტორი პანდემიის შემდეგ
ავტორი: ალექსანდრე ძნელაძე
- 20 საქართველოს საბანკო სექტორი Fitch-ის მიხედვით
ავტორი: ალიონა აგრენენკო, ოლგა იგნატიევა

[რეგულატორი]

- 22 იპოთეკით უზრუნველყოფილი საბანკო ობლიგაციები
ავტორი: სალომე სხირტლაძე



არ გამოთხოვო შესაძლებლობა დაესწრო!

ახალი სტარტაპ-კლათფორმის პირველი ღონისძიება

1-3 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

- 1 დაამყარეთ საერთაშორისო ბიზნეს კონტაქტები
- 2 გააცანით თქვენი კომპანია გავლენიან ინვესტორებს
- 3 შეხვდით ეკონომიკის სხვადასხვა დარგის გამორჩეულ ექსპერტებს და მსოფლიოს წამყვან ბიზნეს მენტორებს

შეიძინეთ ბილეთები 15 აგვისტომდე და ისარგებლეთ **25%-იანი ფასდაკლებით**

ღონისძიებაზე დასწრების 3 დღიანი პაკეტი და ბილეთების კატეგორიები

ინვესტორი

275 €

მონაწილე

175 €

სტარტაპი

100 €

ონლაინ დასწრება

75 €

[რეიტინგი]

32

ბანკების რეიტინგი

საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი აქტივების, სესხების, დეპოზიტების, კაპიტალისა და წმინდა მოგების მიხედვით
ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი
დადასტურებულია Grant Thornton-ის მიერ

36

საბანკო სექტორის 2020 წელი

შეძლეს თუ არა ქართულმა კომერციულმა ბანკებმა და მათმა მომხმარებლებმა ახალ რეალობასთან ადაპტაცია?
ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი

[ანთრეპრენიორები]

42

ევროპის მომავალი ფინტექ-ჩემპიონი

თამაზ გიორგაძის Raisin-მა, რომელსაც 355 ათასზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, გლობალურ ბაზარზე აღიარებულ კიდევ ერთ გერმანულ ფინტექ-კომპანია Deposit Solutions-სთან შერწყმა გადაწყვიტა.
ავტორი: თამთა ჯიჯავაძე

[მენეჯმენტი]

46

ევროპის ფინანსური ინდუსტრიის ეპიცენტრში

ინტერვიუ „დოიჩე ბანკის“ ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტთან, ნიკოლოზ დონაძესთან, რომელიც ევროზონის ფინანსური ცენტრიდან საბანკო სექტორის ტენდენციებს აკვირდება.
ავტორი: თამთა ჯიჯავაძე

50

რისკების მართვა, როგორც პროფუსია

Bank of America 200 ათასზე მეტ ადამიანს ასაქმებს, მათ შორის არის ქართველი დავით ხატიძეც, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბანკის ერთ-ერთი უფროსი ვიცე-პრეზიდენტის პოზიცია დაიკავა.
ავტორი: თამთა ჯიჯავაძე

52

ახალი ლიბერთი

ვასილ ხოდელი თავის გუნდთან ერთად ამბიციურ მიზანს ისახავს, რომელსაც კონკრეტული სახელი აქვს – „ახალი ლიბერთი“.
ავტორი: ელენე კვანჭილაშვილი


[ისტორია]

62

ბანკები ტფილისში, როგორც სოკო წვიმის შემდეგ

„ჩვენი ქალაქი თან-და-თან ამერიკულ ქალაქს ემსგავსება! მგონი დღე არ გაივლის ისე, რომ ან ერთი ახალი ბანკი, ან რომელიმე კომისიონერის, ვექსილის, თუ ფულის სასესხებელი კანტორა და სხვა ამ გვარები არ გაჩნდეს“.
ავტორი: გიორგი ჭეიშვილი

32



აღმოაჩინე ახალი შესაძლებლობები შენი ბიზნეს საქმიანობისთვის

გახდი ბიზნეს კლუბის წევრი



გამოიწერე ნაკრები

62



მონაცემები

66 ბანკების ფინანსური ანგარიშები

უნიკალური შესაძლებლობა, მარტივ ფორმატში, ერთად თავმოყრილი ნახოთ ყველა ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი

82 100 მაკროეკონომიკური მარკეტინგული

მაკროეკონომიკური მარკეტინგულების ცხრილი საშუალებას მოგცემთ, სწრაფად და მარტივად გაერკვეთ საქართველოს ეკონომიკის ძირითად მაკროეკონომიკურ სექტორებში არსებულ მდგომარეობასა და ტენდენციებში.

ავტორი: ბესო ნაშრავაძე

აზრები

88 ბანკინგის შესახებ

მთავარი რედაქტორი
გიორგი ისაკაძე

ალმასრულებელი რედაქტორები
შოთა დიდუღელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი

არტდირექტორი, ფოტორედაქტორი
სერგა ნემსიწვერიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
დავით ცირაშუა

დაგეგმვა-დონემალი
ქეთა შორჭულიანი

ფოტორედაქტი
ხათუნა ხუციშვილი

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
სააქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გამომცემის დირექტორი
ლელი მირიჯანაშვილი

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

Forbes Global Media Holdings Inc.

Editor-in-Chief
Steve Forbes

President & CEO
Michael Federle

Chief Content Officer
Randall Lane

Design Director
Alicia Hallett-Chan

Editorial Director, International Editions
Katya Soldak

Executive Director, Forbes IP (HK) Limited
Global Branded Ventures
Peter Hung

Vice President, Global Media Ventures
Matthew Muszala

General Counsel
MariaRosa Cartolano

Founded in 1917

B.C. Forbes, Editor-in-Chief (1917-54)
Malcolm S. Forbes, Editor-in-Chief (1954-90) James W. Michaels, Editor (1961-99) William Baldwin, Editor (1999-2010)

Copyright © 2018 Forbes LLC. All rights reserved. Title is protected through a trademark registered with the U.S. Patent & Trademark Office.

რედაქციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. 15, ბინა: (+995 32) 223 77 07, ე-მეილი: info@forbes.ge
Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა, საგალო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia ფარგონდირებულია საქართველოს არაკომერციული მიზნების მიხედვით. Forbes Georgia-ს რედაქციის მისამართი და მისი მისამართის მფლობელია შპს ფორბეს ჯორჯია. ISSN 2233-3487

Copyright 2011 სააქციო საზოგადოება Media Partners, საბჭოთაო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. საბჭოთაო ნიშანი Forbes ნარეკლამების Forbes Inc.-ის საკუთრებაა. გამოქვეყნების უფლებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება Media Partners მისამართის სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75

გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს: „ბეგ გარდინი ეგვიპტური“ და „ბეგ პრინა“.



წარმოაჩინეთ თქვენი ბიზნესის წარმატება კონსიერჟ თბილისთან ერთად

ვირტუალური ლონისკიებაები



ფიზიკური ღონისძიებების ჰარმონიულად ტრანსფორმაცია ონლაინ სივრცეში, ჰიბრიდული ვირტუალური გამოცდილების შექმნა

ბიზნეს წარადივი



აუდიტორიაზე მორგებული, მაღალი ხარისხის კორპორაციული მასალების მომზადება: გამომსვლელის მოხსენება, პრეზენტაცია, წლიური ანგარიში. მაღალი ხარისხის აუდიო/ვიდეო პროდუქციის დამზადება: ვიდეო, ფოტო, პოდკასტი და ა. შ

დიზაინი და ვიზუალიზაცია



დამკვეთის ბრენდირებისა და კორპორაციული იდენტობის მორგება ღონისძიების შინაარსსა და საკომუნიკაციო სტრატეგიაზე

LEADERBOARD



გაგაპასიის უმსხვილესი ბანკები

ავტორი: დავით ცირაშვა

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბანკო საქმიანობის ლიცენზიას 2020 წლის 31 დეკემბერს 58 საფინანსო ინსტიტუცია ფლობდა*. პანდემიური წლის ბოლოს მომზადებულ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში კი ბევრ საინტერესო პარამეტრსა და კოეფიციენტს ვპოულობთ.

Forbes Georgia დაინტერესდა, რომელია კავკასიის უმსხვილესი საბანკო ინსტიტუცია აქტივების მოცულობით და ამასთან, იყო თუ არა მოგებიანი 2020 წელი რეგიონის კომერციული ბანკებისთვის.

კავკასიის რეგიონის კომერციული ბანკების აქტივების მოცულობამ 2020 წლის ბოლოსთვის \$50.5 მილიარდს** მიაღწია. აქედან სომხური ბანკების აქტივები \$12.6 მილიარდის, აზერბაიჯანული ბანკების აქტივები \$19.2 მილიარდის, ხოლო ქართული ბანკების აქტივები \$8.7 მილიარდის მოცულობის იყო.

რეგიონში აქტივების მოცულობით ყველაზე დიდი ქართული “თიბისი ბანკია”. ათეულში მეორე პოზიციაზე “საქართველოს ბანკი”, ხოლო მესამე პოზიციაზე “ლიბერთი ბანკი” გვხვდება. უმსხვილესი ბანკების ათეულში ასევე მოხვდა 4 აზერბაიჯანული და 3 სომხური ბანკი.

რაც შეეხება ბანკების მოგებიანობას, შარშან ფინანსური წელი მოგებით დაასრულა რეგიონის 43-მა კომერციულმა ბანკმა. პანდემიის ფონზე კი 15-მა კომერციულმა ბანკმა იზარალა, მათ შორის ყველაზე მეტი - რვა ბანკი ქართული იყო.

გასულ წელს ყველაზე მოცულობითი ზარალი აზერბაიჯანში Yelo ბანკმა იწვნია - \$25.7 მილიონი. საქართველოში ყველაზე დიდი ზარალი “ქართუ ბანკს” ჰქონდა - \$8.1 მილიონი.

რაც შეეხება 2021 წელს, პოსტპანდემიური აღდგენის დინამიკა პოზიტიურია. სამივე ქვეყნის საბანკო რეგულატორი კომერციული ბანკების მოგების ზრდას პროგნოზირებს. მოგების ზრდის პოზიტიური დინამიკა ნათლად ჩანს კომერციული ბანკების მიერ უკვე გამოქვეყნებულ კვარტალურ ანგარიშგებებშიც.



1. TBC Bank

ქვეყანა:
საქართველო

აქტივები:
\$7,138,362,319

მოგება:
\$40,469,770




2. Bank of Georgia

ქვეყანა:
საქართველო

აქტივები:
\$6,643,720,025

მოგება:
\$18,762,551




3. Internation Bank of Azerbaijan

ქვეყანა:
აზერბაიჯანი

აქტივები:
\$5,414,620,964

მოგება:
\$105,269,077



4. Pasha Bank

ქვეყანა:
აზერბაიჯანი

აქტივები:
\$3,595,152,879

მოგება:
\$46,755,080



4. Kapital Bank

ქვეყანა:
აზერბაიჯანი

აქტივები:
\$3,097,044,188

მოგება:
\$149,316,490



6. Ameriabank

ქვეყანა:
სომხეთი

აქტივები:
\$2,077,902,987

მოგება:
\$17,145,389



7. Ardshinbank

ქვეყანა:
სომხეთი

აქტივები:
\$1,746,980,776

მოგება:
\$19,389,875



3. ArmBusiness-Bank

ქვეყანა:
სომხეთი

აქტივები:
\$1,615,050,890

მოგება:
\$11,479,673



4. Xalq Bank

ქვეყანა:
აზერბაიჯანი

აქტივები:
\$1,371,126,948

მოგება:
\$14,762,446



4. Liberty Bank

ქვეყანა:
საქართველო

აქტივები:
\$979,695,229

მოგება:
\$9,665,566

* - 2021 წლის ივლისში Credo Bank-მა სრულად შეიძინა Finca Bank Georgia, შესაბამისად, ჯამში ბანკების რაოდენობა ერთით შემცირდა.

** - ეროვნული ვალუტები აშშ დოლარში კონვერტირებულია 2020 წლის 31 დეკემბრის კურსით.

LEADERBOARD

მსოფლიოს 20 უმსხვილესი ბანკი

ავტორი: დავით მირაგუა

საბანკო სექტორზე Covid-19-ის პანდემიის ნეგატიური გავლენის მიუხედავად, წინა წელთან შედარებით, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ბანკების რაოდენობა, რომელთა აქტივების მოცულობაც ტრილიონ აშშ დოლარს აღარბებს – ასეთი ბანკების რაოდენობა 2021 წლის 15 აპრილის მონაცემებით მსოფლიოში 39-ია.

აქტივების მოცულობა საბანკო ინსტიტუციის ზომის შეფასებისა და სხვებთან შედარების ყველაზე ეფექტიანი საზომია, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო და ანალიტიკური ორგანიზაციებიც აქტიურად იყენებენ.

S&P Global-ის ერთ-ერთი განყოფილება, S&P Global Market Intelligence-ი უკვე რამდენიმე წელია, რაც მსოფლიოს 100 უდიდესი ბანკის რეიტინგს აქვეყნებს. 2021 წლის რეიტინგი ორგანიზაციამ მიმდინარე წლის აპრილში გაასაჯაროვა.


უმსხვილესი ბანკების ასეულში ჩინეთი ლიდერობს – 19 საფინანსო ინსტიტუციით, რომელთა აქტივების ჯამური მოცულობა თითქმის \$30.5 ტრილიონია. 12 ბანკია სიაში წარმოდგენილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან – მათი აქტივების ჯამური მოცულობა კი \$15.5 ტრილიონია.





1. Industrial & Commercial Bank of China Ltd.

წინა წლის პოზიციის: **1**
ქვეყანა: **ჩინეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **5,107.54**



2. China Construction Bank Corp.

წინა წლის პოზიციის: **2**
ქვეყანა: **ჩინეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **4,309.08**



3. Agricultural Bank of China Ltd.

წინა წლის პოზიციის: **3**
ქვეყანა: **ჩინეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **4,167.06**




4. Bank of China Ltd.

წინა წლის პოზიციის: **4**
ქვეყანა: **ჩინეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **3,737.81**



5. Mitsubishi UFJ Financial Group Inc.

წინა წლის პოზიციის: **5**
ქვეყანა: **იაპონია**
აქტივები (მილიარდი \$): **3,407.80**




6. JPMorgan Chase & Co.

წინა წლის პოზიციის: **7**
ქვეყანა: **აშშ**
აქტივები (მილიარდი \$): **3,386.07**



7. BNP Paribas SA

წინა წლის პოზიციის: **9**
ქვეყანა: **საფრანგეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **3,080.55**



8. HSBC Holdings PLC

წინა წლის პოზიციის: **6**
ქვეყანა: **დიდი ბრიტანეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **2,984.16**



9. Bank of America Corp.

წინა წლის პოზიციის: **8**
ქვეყანა: **აშშ**
აქტივები (მილიარდი \$): **2,819.63**



10. Crédit Agricole Group

წინა წლის პოზიციის: **10**
ქვეყანა: **საფრანგეთი**
აქტივები (მილიარდი \$): **2,741.77**

წყარო: The World's 100 Largest Banks, 2021/S&P Global Market Intelligence

LEADERBOARD



11. Citigroup Inc.

წინა წლის
პოზიცია:
13
ქვეყანა:
აშშ
აქტივები
(მილიარდი \$):
2,260.09



12. Sumitomo Mitsui Financial Group Inc.

წინა წლის
პოზიცია:
12
ქვეყანა:
იაპონია
აქტივები
(მილიარდი \$):
2,257.65



13. Japan Post Bank Co. Ltd.

წინა წლის
პოზიცია:
11
ქვეყანა:
იაპონია
აქტივები
(მილიარდი \$):
2,171.43



14. Mizuho Financial Group Inc.

წინა წლის
პოზიცია:
15
ქვეყანა:
იაპონია
აქტივები
(მილიარდი \$):
2,111.31



15. Wells Fargo & Co.

წინა წლის
პოზიცია:
14
ქვეყანა:
აშშ
აქტივები
(მილიარდი \$):
1,955.16



16. Banco Santander SA

წინა წლის
პოზიცია:
16
ქვეყანა:
ესპანეთი
აქტივები
(მილიარდი \$):
1,844.95




17. Barclays PLC

წინა წლის
პოზიცია:
18
ქვეყანა:
**დიდი
ბრიტანეთი**
აქტივები
(მილიარდი \$):
1,842.49



18. Société Générale SA

წინა წლის
პოზიცია:
17
ქვეყანა:
საფრანგეთი
აქტივები
(მილიარდი \$):
1,788.32



19. Groupe BPCE

წინა წლის
პოზიცია:
19
ქვეყანა:
საფრანგეთი
აქტივები
(მილიარდი \$):
1,768.51



20. Postal Savings Bank of China Co. Ltd.

წინა წლის
პოზიცია:
20
ქვეყანა:
ჩინეთი
აქტივები
(მილიარდი \$):
1,739.00

წყარო: The World's 100 Largest Banks, 2021/S&P Global Market Intelligence

უნიკალურობა ამოძრავებს სამყაროს

davines
sustainable beauty



WWW.DAVINES.COM

WWW.FACEBOOK.COM/DAVINESGEORGIA



თფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

თბილისი, შრომის 6, ოფისი 1,
ტელ.: +995 32 225 0406

LEADERBOARD

ბანკები ყველაზე მაღალანაზღაურებადი მენეჯერებით

ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი

2020 წლის განმავლობაში ქართულმა კომერციულმა ბანკებმა მათი დირექტორატის ანაზღაურებებზე ჯამში 64.4 მილიონი ლარი დასარჯეს, რაც 2019 წლის ხელფასებთან შედარებით 32.6 მილიონი ლარით, ანუ 33.6%-ით ნაკლები იყო. ტოპ-მენეჯმენტზე გაცემული ხელფასების კლების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური კრიზისი იყო, რის გამოც ბანკების მოგებიანობის და უკუგების მაჩვენებლები საგრძნობლად გაუარესდა.

ბანკებმა მათში დასაქმებულ ათასობით ადამიანზე 2020 წელს ხელფასების სახით მთლიანობაში 692 მილიონი ლარი გასცეს, რაც 2019 წელთან შედარებით 38 მილიონი ლარით ნაკლები იყო. ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ინფორმაციით, ბანკების ტოპ-მენეჯმენტი სექტორში გაცემული ხელფასების 9%-ს იღებენ.

ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ კომერციული ბანკების უმეტესობაში ტოპ-მენეჯმენტის ხელფასები ნაღდი ფულის სახით გაცივმა, ხოლო ლონდონის საფონდო ბირჟაზე არსებული ბანკების მენეჯმენტის ანაზღაურება ნაღდი ფულთან ერთად, კომპანიის აქციებით ხდება. მეტიც, მთლიანობაში "საქართველოს ბანკისა" და "თიბისი ბანკის" დირექტორთა საბჭოების ანაზღაურების ძირითადი წყარო სწორედ აქციების სახით გაცემული გადავადებული ანაზღაურებაა.



როგორი ბანკების დირექტორთა საბჭოები იღებენ ყველაზე მაღალ ხელფასებს?

#	ბანკი	დირექტორატის მთლიანი ანაზღაურება ₾	მათ შორის გადავადებული ანაზღაურება ₾ (ძირითადად აქციებით)	ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობა
1	საქართველოს ბანკი	29,101,901	25,174,822	7
2	თიბისი ბანკი	10,417,009	5,035,155	7
3	ვითიბი ბანკი	8,665,534		6
4	ლიბერთი ბანკი	2,818,991		7
5	კრედიო ბანკი	2,390,255	386,304	5
6	თერაბანკი	1,861,909		4
7	გაზა ბანკი საქართველო	1,806,740		5
8	ბაზისბანკი	1,412,650		7
9	ფინკა ბანკი საქართველო	1,221,612		3
10	ქართუ ბანკი	1,180,593		5
11	იზბანკი	1,095,239		3
12	ჰალიკ ბანკი	856,722		5
13	პროკრედიტ ბანკი	640,174		3
14	ზირაათ ბანკი	579,051		3
15	სილქ როულ ბანკი	396,580		3
ჯამი		₾64,444,960	₾30,596,281	

LEADERBOARD

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის რეიტინგი

დადასტურებულია Grant Thornton-ის მიერ


ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი

მიკროსაფინანსო სექტორი მოსახლეობის და მცირე ბიზნესის დაკრედიტებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ბაზარზე სულ 39 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებს. მათ მიერ გაცემული სესხების მოცულობა კი 1.3 მილიარდი ლარია.


2020 წელი სექტორმა ჯამურად 45 მილიონი ლარის მოგებით დახურა, რაც წინა წელთან შედარებით მოგების 400-ჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელია, რადგანაც 2019 წელს სექტორის ჯამური მოგება მხოლოდ 112 ათასი ლარი იყო, რაც ამ წელს სფეროს არაერთი მოთამაშის ლიკვიდაციას უკავშირდებოდა.

2020 წლის მდგომარეობით, მისო-ების ბაზრის უმსხვილესი მოთამაშეები, როგორც აქტივების ზომის, ასევე გაცემული სესხების მიხედვით, მისო “კრისტალი” და “რიკო ექსპრესი” იყვნენ. ორივე კომპანია, ამ პარამეტრების მიხედვით, რამდენიმე მცირე ზომის კომერციულ ბანკსაც უსწრებს.

მიკროსაფინანსო სექტორის წმინდა მოგება 2015-2021 წლებში



მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები 2015-2021 წლებში



	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	აქტივები	გაცემული სესხები	2020 წლის მოგება
1	კრისტალი	362,744,479	327,521,766	-1,093,072
2	რიკო ექსპრესი	460,552,000	305,99,000	43,242,000
3	სვის კაპიტალი	116,612,000	98,159,000	9,557,000
4	მიკრო ბიზნეს კაპიტალი	78,202,000	66,858,000	1,483,000
5	ლაზიკა კაპიტალი	69,410,000	53,562,000	-317,000
6	სმარტ ფინანსი	52,262,394	47,142,510	1,909,759
7	ლიდერ კრედიტი	72,311,298	52,212,828	-3,627,871
8	ქართული კრედიტი	38,938,960	29,227,305	-2,637,871
9	ევრო კრედიტი	31,175,124	43,354,108	-294,681
10	მისო ინტელექსპრესი	49,836,030	9,883,519	3,761,013
11	კრედიტსერვისი+	36,296,000	25,746,000	2,456,000
12	გირო კრედიტი	13,487,362	9,665,411	1,115,865
13	ლენდაფ	12,207,293	10,673,75	-311,881
	ჯამი	1,394,034,940	1,080,003,204	55,242,791

რეიტინგში წარმოდგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა აქტივებიც 10 მილიონ ლარს აღემატება.

მიმდინარე მოვლენები



ავტორი:
ალიონა აბრამიანკო



ავტორი:
ოლგა ინშაინივა

საქართველოს საბანკო სექტორი

პანდემიის შედეგად, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა. სუსტმა ბიზნესაქტივობამ და ვალუტის მერყევმა კურსმა გავლენა მოახდინა ბიზნესებისა და ოჯახების ფინანსებზე. ადგილობრივ მსესხებლებზე წარმოქმნილი ზეწოლა ნაწილობრივ შემსუბუქდა სახელმწიფო დახმარებით, რომელსაც Fitch-ი მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ად აფასებს. ამასთან ერთად, 2020 წელს ქართულმა ბანკებმა მოხმარებულს გადახდების ე.წ. არდადეგები ორჯერ გამოუცხადეს (თითო ჯერზე სამი თვით) ყველა ფიზიკური პირისთვის, ასევე კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების (SME) მსესხებლებისთვის ყველაზე მეტად მოწყვლადი სექტორებიდან. 2020 წლის მარტიდან ივნისამდე შეთავაზებები ათვისების მაჩვენებელი სესხების მთლიან სექტორში 57% იყო, ხოლო გაყიდვების სეგმენტში – 70%. ამ ინიციატივების უმეტესი ნაწილი 2020 წლის სექტემბრისთვის ამოიწურა და მსესხებლები უმეტესწილად სესხის რეგულარული გადახდის რეჟიმს დაუბრუნდნენ.

ამის მიუხედავად, სექტორის გადავადებული და პრობლემური სესხები (საქართველოს ეროვნული ბანკის მიხედვით სამი ყველაზე სარისკო კატეგორია) 2021 წლის პირველი

კვარტალის ბოლოსთვის თითქმის გაორმაგდა 4.4%-იდან 8.3%-მდე. ბანკების აქტივების ხარისხის მაჩვენებლები წელს, სავარაუდოდ, ზომიერად გაუარესდება ბოლოდროინდელი რეცესიით გამოწვეული ხანგრძლივი ეფექტით. 2021 წელს Fitch-ი მთლიანი შიდა პროდუქტის 4.3%-იან ზრდას ვარაუდობს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის აქტივობას და გაზარდოს მოთხოვნა კრედიტზე, რაც ბანკების შემოსავლებზე დადებითად აისახება.

ამავდროულად, ეკონომიკური გამოჯანსაღების ტემპში, კერძოდ ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჯანდაცვის კრიზისის შემდგომ განვითარებაზე, ხოლო შეზღუდვების ზომების ხელახლა დაწესება ზრდის პოტენციალზე უარყოფით გავლენას იქონიებს.

სესხების მაღალი დოლარიზაცია (56% 2021 წლის პირველი კვარტალის ბოლოსთვის უმნიშვნელოდ შეიცვალა 2017 წლის ბოლოდან, გარკვეული დროის განმავლობაში არსებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიუხედავად) ქართული საბანკო სექტორის სტრუქტურულ სისუსტედ რჩება და აქტივების ხარისხისთვის დამატებითი საგულისხმორისკის ფაქტორად შეიძლება იქცეს ბაზრების შემდგომი მერყეობის შემთხვევაში. 2020 წელს ლარი საშუალოდ 13%-ით გაუფასურდა, მაგრამ გამყარდა

ავტორთა შესახებ: ალიონა აბრამიანკო FITCH RATINGS-ის ბანკების განყოფილების მენეჯერის, აღმოსავლეთის და აზიის (EMEA)-ს რეგიონის დირექტორია, ხოლო ოლგა ინშაინივა უკროსი დირექტორი.



ამ წლის დასაწყისის შემდეგ.

ქართული ბანკები კრიზისში შევიდნენ გადახდისუნარიანობის ჯანსაღი მაჩვენებლებითა და მყარი შიდა კაპიტალის გამოუმუშავების შესაძლებლობებით, რამაც მათ კრიზისთან გამკლავებაში შეუწყო ხელი. 2020 წლის პირველ კვარტალში ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს პრევენციული უზრუნველყოფის შექმნის მითითება მისცა (სექტორის სესხების 3%) პანდემიით გამოწვეული აქტივების ხარისხის შესაძლო გაუარესების თავიდან ასაცილებლად, რის შედეგად სექტორის საშუალო სააქციო კაპიტალის უკუგება (ROAE) 2020 წელს დაბალი 2%-ით განისაზღვრა (2019: 17.5%). ბანკების მოგება სესხების გაუფასურების ხარჯებამდე ასევე შეიზღუდა რთული ეკონომიკური პირობებით გამოწვეული შენელებული საკრედიტო ზრდით. მიმდინარე წლის მოგების მაჩვენებლები გაუმჯობესდა (27% 2021 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით) კლიენტების გაუმჯობესებული აქტივობისა და დაბალი უზრუნველყოფის პირობებში. ქართული ბანკების შემოსავლები, სავარაუდოდ, წელს კიდევ უფრო გაიზრდება სესხების ზრდის დაჩქარებით, მოსაკრებლების შემოსავლებითა და სტაბი-

ლური მარჟებით, რასაც ხელს შეუწყობს მაღალი უკუგების სეგმენტებში ზრდაც, მაგალითად, მიკრო- და SME- სეგმენტებში.

დარეზერვებულმა მნიშვნელოვანმა წინასწარმა უზრუნველყოფამ პანდემიის დასაწყისში, სექტორის გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებს ზიანი მიაყენა. ამავდროულად, ეროვნულმა ბანკმა 2020 წლის პირველ კვარტალში ე.წ. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (რისკის მიხედვით გათვალისწინებული აქტივების 2.5%) გაუქმებით შეამსუბუქა კაპიტალის მოთხოვნილებები და ორი მესამედით შეამცირა ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკების სარეზერვო მარაგი. ამის შედეგი იყო სექტორში 3-4 პროცენტული ნიშნულით შემცირებული რეგულაციური კაპიტალი, თუმცა ეს გავლენა ბანკების მიხედვით იცვლებოდა. 2020 წლის პირველი კვარტალიდან მოყოლებული ბანკები თანდათანობით ზრდიდნენ თავიანთ სარეზერვო კაპიტალს, თუმცა სექტორის რეგულაციური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები 2021 წლის 5 თვის მაჩვენებლით (პირველი დონე და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის პროპორციები 14.2% და 18.7%, შესაბამისად) მაინც რჩებოდა 2019 წლის ბოლოსთვის არსებულ მარვე-

ნებლებთან შედარებით ქვევით (14.6% და 19.5%, შესაბამისად). დივიდენდების გადახდები შეზღუდულია ეროვნული ბანკის მიერ, კაპიტალის პროპორციების აღდგენის მოლოდინში. თუმცა ორმა უმსხვილესმა ბანკმა განაცხადა კაპიტალის სარეზერვო მარაგის აღდგენისა და უკვე მიმდინარე წელსვე ნაღდი ფულის გადახდების განახლების შესახებ.

ქართული ბანკები ძირითადად ფინანსდება მომხმარებლების დეპოზიტებით (70% 2021 წლის პირველი ნახევრის ვალდებულებებით), რომლებიც ძირითადად სტაბილური იყო ჯანდაცვის კრიზისის განმავლობაში. უცხოური ვალდებულებები სექტორის დაფინანსების მესამედს შეადგენს, მაგრამ ბანკებმა შეინარჩუნეს კარგი წვდომა საერთაშორისო ბაზრებზე, კერძოდ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსებაზე, რითაც ფინანსური რისკები შეამცირეს.

ჯანდაცვის კრიზისი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ქართული ბანკები გამოწვევებს დღემდე საკმაოდ კარგად გაუმკლავდნენ და დიდი ალბათობით პანდემიამდე მოგების მაჩვენებლებს ახლო მომავალში დაუბრუნდებიან, თუმცა აქტივების ხარისხის პრობლემების მოგვარებას შესაძლოა მეტი დრო დასჭირდეს. **F**



ავტორი:
ალექსანდრე ძნელაძე

საბანკო სექტორი პანდემიის შემდეგ

პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორმა მაკროეკონომიკის მდგრადობა გამოავლინა და ყოველ ეტაპზე ადეკვატურად უპასუხა ყველა გამოწვევას, რომლებიც 2020 წელს დღის წესრიგში დადგა. განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი პარამეტრი, რათა საბანკო სექტორის როლი ეკონომიკის აღდგენის პროცესში უფრო ცხადი გახდეს.

სამომხმარებლო სესხების მიმართულებით საკვანძო პროდუქტად კვლავ იპოთეკური სესხები რჩება.

2019 წლის ბოლოს იპოთეკურმა სესხებმა სამომხმარებლო საკრედიტო პორტფელის ნახევარს გადააბიჯა (53.99%). ტენდენცია, რომელიც 2020 წელსაც გაგრძელდა (55.74%), დომინანტური იქნება 2021-22 წლების განმავლობაშიც (54.52% ივწ., 21). 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.9% შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული, 40.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხები - 9%-ით.

ბოლო პერიოდში იპოთეკურ პორტფელთან მიმართებით მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ნეგატიურად აისახება ზრდის ტენდენციებზე. მიუხედავად ამისა, თუ საპროცენტო განაკვეთები (გარკვეულწილად სუბსიდირების ხარჯზე) სტაბილურობას შეინარჩუნებს, იპოთეკით დაფინანსებული გარიგებები კვლავ ყველაზე პოპულარული პროდუქტი იქნება ფიზიკური პირების დაკრედიტების ნაწილში. პირველადი ბაზრის უძრავი ქონების ფასების მაკროეკონომიკური შენეების შემთხვევაში შემოსავლების სტაგნაციის ფონზე შეიძლება დადებითად შეცვალოს ბინის მყიდველების მოთხოვნა მეორეულ ბაზარზე.

2021 წელს საბანკო სექტორის დაკრედიტების აქტივობა 70%-მდე გაიზარდა.

2019-20 წლების ფართომასშტაბიანი შეღავათიანი კრედიტების პროგრამების გათვალისწინებით,

სექტორის დაკრედიტების აქტივობის მაჩვენებელი, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების სესხების პორტფელის ჯამის თანაფარდობა მთლიან საბანკო აქტივობასთან 2.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 70.1%-ს მიაღწია.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი სესხები 13.8%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 12.6%-ს შეადგენს, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა - 14.9%-ს. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 27.6%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 3.8%-ს გაუტოლდა.

2021 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით, ჯამურმა საბანკო საკრედიტო პორტფელმა ქვეყნის შშპ-ის 86.78% შეადგინა. ჯამური საბანკო აქტივები შშპ-ის 123%-ს უტოლდება და მთლიანი საფინანსო ბაზრის 93.1%-ს ფარავს. საბანკო კრედიტები კვლავ ეკონომიკის აღდგენისა და დაფინანსების ძირითად წყაროდ რჩება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების არასაკმარისი ტემპიდან გამომდინარე, საბანკო კრედიტებთან მიმართებით ბაზრის ძირითად მარეგულირებელს მაქსიმალური მოქნილობის გამოჩენა მოუწევს. სასურველია, რომ საბანკო სისტემაში, მრავალი გამოწვევის მიუხედავად, ზრდის 10%-იანი ნიშნულს გადააჭარბოს 2020 წელთან შედარებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, წლის ბოლომდე ეკონომიკის აღდგენის ტემპზე იქნება დამოკიდებული.

2021 წელს მოსალოდნელია წმინდა საპროცენტო შემოსავლების სტაგნაცია და მოსაპროცენტო და საკომისიო შემოსავლების ზრდა.

წლებია, ბაზარზე კონკურენცია საპროცენტო განაკვეთების მიმართულებით გამძაფრებულია, რამაც ბანკების საპროცენტო განაკვეთების დაახლოება გამოიწვია. საპროცენტო შემოსავლების ზრდის მიმართულებით შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში ბანკები აქცენტს გადაიტანენ არასაპროცენტო შემოსავლების ზრდაზე (მაგ. სავალუტო ანგარიშების მომსა-

	2018	2019	2020	2021 საპროცენტო
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი / აქტივები	-1.02	-1.01	-0.78%	-0.41%

ხურების საკომისიოს დაწესება და სხვა). მოსალოდნელია საკომისიო მოსაკრებლების მიმართულების გაძლიერება. წმინდა საკომისიო შემოსავალი შესაძლოა 2021 წელს 50%-ით გაიზარდოს 2020 წლის 36.86%-იანი ზრდის გათვალისწინებით.

საბროკერო მომსახურებიდან საკომისიო შემოსავლების ზრდაში ყველაზე შესამჩნევი დადებითი დინამიკა 2020 წლის ბოლოს გამოჩნდა. საბანკო სექტორში კორპორაციული კლიენტების მიმართულებით აქცენტი საკუთარ საბროკერო კომპანიებზე გადაიტანა, რის გამოც 2021 წლის განმავლობაში მოსალოდნელია საბროკერო კომპანიების ზრდა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე აქცენტის გადატანა. ბანკების საბროკერო კომპანიების ანგარიშებზე სახსრების მოცულობა დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა.

საბანკო სექტორის როლი ქვეყნის რეალურ ეკონომიკაში სულ უფრო მსაბრუნველი ხდება.

ტრადიციული საბანკო ბიზნესის მარჯობის შემცირება და ფინტექებთან მიმართებით კონკურენციის ზრდის პირველი ნიშნები შესაძლოა უკვე ამ წლის ბოლოს დავიინახოთ. ამის ფონზე ბანკები იძულებულნი იქნებიან, შემოსავლის ახალი წყაროები ეძებონ. ბევრი მსხვილი ბანკი სავარაუდოდ იზრუნებს ინვესტიციების ზრდაზე ფინანსური ბაზრის შესაბამის სექტორებში.

კორპორაციული დაკრედიტების ზრდის ტემპი 2021 წელს მინიმალურია (0.42%) 2020 წლის 21.04%-ის საპირწინაედ. საპროცენტო განაკვეთის შემცირების ეფექტი უკვე ამოწურულია და მსესხებელთა უმრავლესობის მოთხოვნა რესტრუქტურისა და დაბალ განაკვეთებზე რეფინანსირებაზე გასულ წელს დაკმაყოფილდა.

წელს ბანკების მიერ რეზერვების ფორმირებაზე დანახარჯების დონე, სავარაუდოდ, დაბალი დარჩება 2020 წელს შექმნილი დამატებითი რეზერვების ეტაპობრივი დაბრუნების ფონზე. ივნისის მონაცემებით, რეზერვების პროცენტული მოცულობა საკრედიტო პორტფელის 5.46%-მდე შემცირებული 2020 წლის ბოლოს დაფიქსირებული 6.37%-ის გათვალისწინებით. მოგების მაჩვენებლები სტაბილური დარჩება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ბანკი იქნება დომინანტი მათ ფორმირებაში.

მომხმარებლების ფინანსური ცნობიერების ამაღლების ფონზე მნიშვნელოვნად იზრდება ინტერესი ინოვაციური კონკურენტუნარიანი პროდუქტების მიმართ. მაგალითად, მსესხებლები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და რეალურ გადახდებს. დეპოზიტების განაკვეთების შემცირების ფონზე მოსალოდნელია მოქალაქეების ინტერესის გაძლიერება საინვესტიციო და ფინანსური პროდუქტების მიმართ. მის კვლადაკვალ გაიზრდება მოთხოვნა ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო და გასაგებ ინფორმაციაზე.

დღითი დღე მომხმარებლისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი ხდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, ხოლო შეგრძნება, რომ საფონდო ბირჟა არის რაღაც რთული და მიუწვდომელი, დავიწყებას მიეცემა. მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება კვლავ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება და ამ მიმართულებით ყველა მხარის მაქსიმალური ჩართულობაა მნიშვნელოვანი.

ეპიდემიის დაწყებისთანავე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი დისტანციური მომსახურების მუდმივი განვითარების აუცილებლობას. საქართველო მოწინავეა ფინანსური სერვისების დიგიტალიზაციისა და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზების კუთხით. დისტანციური სერვისების განვითარების მიმართულებით ახალი გამოწვევა წლის დასაწყისში დანერგილია ბანკინგის განვითარება და 2022 წელს მისი აქტიურ ფაზაში გადასვლა იქნება.

მოხილული ბანკინგის რანგის 2020 წლის კვლევაში, Markwebb-ის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ფიზიკური პირების მოხილული ბანკების განვითარების შემდეგი რაუნდი იქნება ახალი შესაძლებლობების დანერგვა. ყოველდღიური გამოყენების მოხერხებულობის გაზრდა და მოხილული ბანკის, როგორც ეკონომის ბირთვის, განვითარება ფართო პარტნიორული ქსელით, შეუფერხებელი ავტორიზაციით და სხვადასხვა სერვისის გაერთიანებით, რაც შესაძლებელია ფინანსურ სერვისებთან არც კი ასოცირდებოდეს. ამ ეტაპზე მსოფლიო უკვე „ღია ფინანსების“ (Open Finance) სტანდარტის შემუშავების პროცესშია, რაც თავისთავად კიდევ უფრო გააღრმავებს კონკურენციას და მეტ შესაძლებლობას შექმნის მომხმარებლისთვის, მიიღოს უკეთესი შეთავაზებები. ⁸

მომხმარებლების ფინანსური ცნობიერების ამაღლების ფონზე მნიშვნელოვნად იზრდება ინტერესი ინოვაციური კონკურენტუნარიანი პროდუქტების მიმართ. მაგალითად, მსესხებლები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს და რეალურ გადახდებს. დეპოზიტების განაკვეთების შემცირების ფონზე მოსალოდნელია მოქალაქეების ინტერესის გაძლიერება საინვესტიციო და ფინანსური პროდუქტების მიმართ. მის კვლადაკვალ გაიზრდება მოთხოვნა ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო და გასაგებ ინფორმაციაზე.

დღითი დღე მომხმარებლისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი ხდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, ხოლო შეგრძნება, რომ საფონდო ბირჟა არის რაღაც რთული და მიუწვდომელი, დავიწყებას მიეცემა. მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება კვლავ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება და ამ მიმართულებით ყველა მხარის მაქსიმალური ჩართულობაა მნიშვნელოვანი.




ავტორი:
სალომე სხირთლაძე

იპოთეკით უზრუნველყოფილი საბანკო ობლიგაციები

საერთაშორისო გამოცდილებით, კომერციული ბანკების სესხების პორტფელის ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებად ტრანსფორმაცია ბანკების დაფინანსების სტრუქტურასა და ლიკვიდობის მართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დღესდღეობით სესხების ტრანსფორმაციის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ინსტრუმენტებია სეკურიტიზაცია, იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები და სასესხო პორტფელების პირდაპირი გაყიდვა. აღნიშნული ინსტრუმენტებით დადებული გარიგებების მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. განვი-

თარებულ ბაზრებზე, ყოველწლიურად დადებული ასეთი გარიგებების მოცულობა მთლიანი სესხების პორტფელის დაახლოებით 5-15%-ს შეადგენს (სესხების ტრანსფორმაციის მაჩვენებელი), ხოლო განვითარებად და მცირე ზომის ქვეყნებში, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპაში, საშუალოდ 0.5%-იდან 3%-მდე მერყეობს. აღნიშნული სხვაობა სხვადასხვა ფაქტორით არის გამოწვეული, მათ შორის, იპოთეკური სესხების ბაზრის პენეტრაციისა და საპროცენტო განაკვეთების დონით, ინსტიტუციური ინვესტორების მრავალფეროვნებით, ობლიგაციების ბაზრის მასშტაბით და ბანკების დაფინანსების საჭიროებით.

სესხების ტრანსფორმაციის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით




ავტორის მისამართი: **სალომე სხირთლაძე** სემ-ის ფასიანი ძალადების შეფასების დეპარტამენტის უფროსია
*ავტორი მადლობას უხდის ფასიანი ძალადების შეფასების დეპარტამენტის თანამშრომლებს: ანა კვარაცხელიას, შოთა ბახუაშვილსა და გივი გუპარაიძეს.

იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები სესხების ლიკვიდურ აქტივებად ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მექანიზმია. მიუხედავად


იმისა, რომ ამ ინსტრუმენტის გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თავდაპირველად ის ევროპის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო კონცენტრი-

რებული (გერმანია, საფრანგეთი, დანია, ესპანეთი და ა.შ.) და მისი ფართოდ გავრცელება საერთაშორისო ბაზრებზე მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო.

იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ბაზრის განაწილება ქვეყნების მიხედვით



იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციებისა და იპოთეკური სესხების მოცულობა მშპ-სთან მიმართებით (%), 2018 წელი



წყარო: ECBC, შერჩეული ქვეყნების ცენტრალური ბანკები

● იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაცია / მშპ (%)

● იპოთეკური სესხი / მშპ (%) (მარჯვნივ)

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ზომის და განვითარებად ქვეყნებში იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ბაზრის ზრდა სპეციფიკურ ფაქტორებსა და გარემოებებზეა დამოკიდებული, მათ შორის - იპოთეკური სესხებისა და დეპოზიტების ზრდის ტემპზე. მაგალითად, სლოვაკეთში ევროკავშირთან დაახლოებასა და საპროცენტო განაკვეთების კლებასთან ერთად, სწრაფად გაიზარდა იპოთეკური სესხების ბაზარი, რამაც ბუნებრივად გააჩინა გრძელვადიან და იაფ დაფინანსებაზე წვდომის საჭიროება (EBRD).

უზრუნველყოფილი ობლიგაცია ინვესტორებს ანიჭებს ორმაგი მოთხოვნის უფლებას (dual recourse), რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მათ მოთხოვნას ემიტენტის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ - მოთხოვნას ინსტრუმენტის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული მაღალი ხარისხის¹ იპოთეკური სესხების მიმართ. ამასთან, აღნიშნულ ინსტრუმენტზე მოქმედებს განსხვავებული რეზოლუციის რე-


ჟიმი, კერძოდ, მასზე სტანდარტულად არ ვრცელდება ვალდებულებების ჩამოწერისა და კონვერტაციით რეკაპიტალიზაციის გადაწყვეტილებები. დამატებით, იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის საზედამთებლო მოთხოვნებს, სარგებლობენ სხვადასხვა მასტიმულირებელი მიდგომებით, როგორცაა ბაზელის მიხედვით შეღავათიანი რისკების შეწონვა და დაბალი ჰეარქაუბი ცენტრალურ ბანკებთან რეპო-გარიგებების ან რეფინანსირების სესხების გიროდ გამოყენების შემთხვევებში.

ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები დაბალრისკიან ინსტრუმენტად მიიჩნევა, რომლის რეიტინგიც, შესაძლოა, ემიტენტის და საერთოდ, ქვეყნის რეიტინგსაც კი აჭარბებდეს და ის, შესაბამისად, დაფინანსების გრძელვადიან და იაფ რესურსს წარმოადგენს. მაგალითად, ევროზონაში, იპოთეკით უზრუნველყოფი-

ლი ობლიგაციების განაკვეთები მსგავსი ვადიანობის მქონე ევროს საპროცენტო განაკვეთების ბანკთაშორის სვოპ-კონტრაქტის ფიქსირებულ განაკვეთს საშუალოდ მხოლოდ 10-40 bp ერთეულებით აღემატება.

გარდა ამისა, იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ბაზარი შედარებით უფრო მდგრადია კრიზისების მიმართ, რაზეც გარკვეულწილად ამ ინსტრუმენტის საბაზრო ინდექსის შემოსავლიანობაც მიუთითებს. აქვე აღსანიშნავია, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის მოცულობები, როგორც წესი, შეზღუდულია და, უმეტეს შემთხვევაში, ბანკის მთლიანი აქტივების 2-10 პროცენტს შეადგენს. ასეთი შეზღუდვის არსი, როგორც წესი, არაუზრუნველყოფილი დეპოზიტარებისა და მაღალი ხარისხის იპოთეკური სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ინვესტორთა ინტერესების დაბალანსებაა.


იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების სპრედი ბანკის დაფინანსების სხვა წყაროებთან შედარებით² ევროზონისათვის



¹როგორც წესი, იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივები საკრედიტო ხარისხის და სხვა მინიმალურ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მაგალითად, საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი იპოთეკური სესხების შემთხვევაში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, LTV კოეფიციენტი (იპოთეკური სესხ(ებ)ის თანაფარდობა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან) არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს. ამასთან, უზრუნველყოფილი აქტივები დინამიკურად იმართება, რაც გულისხმობს აქტივების ჩანაცვლებას ვალდებულებას მათ მიმართ განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების დარღვევის ან/და სესხების გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

²სპრედი იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შემოსავლიანობასა და მსგავსი ვადიანობის მქონე ევროს საპროცენტო განაკვეთების ბანკთაშორის სვოპ-კონტრაქტის ფიქსირებულ განაკვეთს შორის.

იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ინდექსის შემოსავლიანობა სახაზინო და კორპორაციული ობლიგაციების ინდექსებთან შედარებით




საქართველოში სესხების ლიკვიდურ ინსტრუმენტებად ტრანსფორმაციის პრაქტიკა განვითარების ჯერ მხოლოდ ადრეულ ეტაპზეა. კომერციული ბანკების დაფინანსების ან/და ლიკვიდობის მართვის წყაროს ძირითადად დეპოზიტები,


ობლიგაციები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFI) და სუბ-ის სესხები შეადგენს, თუმცა დაფინანსების სტრუქტურა განსხვავდება სისტემურ და არასისტემურ ბანკებს შორის. ბანკების გრძელვადიანი დაფინანსე-

ბის სტრუქტურა ვალუტების მიხედვითაც განსხვავდება; უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გრძელვადიანი ვალდებულების წილი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებულ ვალდებულებებს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

საქართველოს კომერციული ბანკების დაფინანსების სტრუქტურა



სისტემური ბანკების გრძელვადიანი დაფინანსების გეზი



ამ მხრივ, იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაცია საინტერესო ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ბაზრისთვის, რამდენადაც დაფინანსების გრძელვადიანი, სტაბილური და იაფ საბაზრო რესურსს ქმნის, ასევე ინვესტორთა დივერსიფიცირების შესაძლებლობას აჩენს. გარდა ამისა, მსგავსი (გრძელვადიანი) ინსტრუმენტების ბაზრის განვითარებით შესაძლებელია იპოთეკური სესხების ფასწარმოქმნის პრაქტიკის გაუმჯობესებაც. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, ლარში დენომინირებული იპოთეკური სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი წილი (91%) სეზონური რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული და, შესაბამისად, მსესხებელი მაღალი საპროცენტო რისკის მატარებელია. იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ბაზრის, ასევე გრძელვადიანი ლარის რესურსის განვითარება ხელს შეუწყობს ფიქსირებული (fixed-to-term) ფასწარმოქმნის შესაძლებლობის გაზრდას და მომხმარებლებისათვის საპროცენტო რისკების ტვირთის შემცირებას.

აღნიშნული ბაზრის განვითარება

სპეციფიკურ საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობას მოითხოვს. საერთაშორისო პრაქტიკით, ეს უკანასკნელი მეტწილად სტანდარტიზებულია, რაც ზრდის ინსტრუმენტის ცნობადობისა და სანდოობის ხარისხს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინვესტორებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის, ეკონომიკის სამინისტროსა და სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ჩართულობით (ADB, EBRD, IFC, USAID) აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების და სეკურტიზაციის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაზე, რომელთა ინიცირება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

ამ ცვლილებით, შეიძლება ითქვას, დასრულდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პირველი თაობის რეფორმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საქართველოსთვის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების (საინვესტიციო ფონდები, დერივატივები, სეკურტიზაცია, უზრუნველყოფილი

ობლიგაციები) საკანონმდებლო და საგადასახადო საკითხების დანერგვა/განვითარება და, ზოგადად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს რეფორმა იყო.

რაც შეეხება კონკრეტული ინსტრუმენტ(ებ)ის ბაზრის განვითარების ტემპსა და პოტენციურ მასშტაბს, აღნიშნულს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის: მაკროეკონომიკური გარემო, იპოთეკური სესხების პორტფელისა და დეპოზიტების ზრდის ტემპი, საპროცენტო განაკვეთების გარემო საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე, ინსტიტუციური ინვესტორების ბაზა და სხვა. იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ბაზრის განვითარებაში, შესაძლოა, ერთი მხრივ, ქართული ფინანსური სექტორისთვის ხელმისაწვდომი გახადოს იაფი, დაბალრისკიანი და სტაბილური საბაზრო დაფინანსება, ხოლო მეორე მხრივ ხელი შეუწყოს სასესხო პორტფელის ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებად ტრანსფორმაციის სხვა უფრო კომპლექსური პროდუქტების განვითარებას. ^F

**იკითხეთ Forbes Georgia,
იყავით წარმატებული!**



სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ Forbes Georgia

6 თვე 54 ლარი, 12 თვე 108 ლარი

**და მიიღეთ სარეკლამო ყოველკვარტალური
ინგლისურენოვანი გამოცემა**

„კრედიტ ბანკში“ ახალი ეტაპი იწყება

საქართველოს ფინანსურ ბაზარზე ბოლო მასშტაბური გარიგება დაახლოებით ერთი თვის წინ შედგა. „კრედიტ ბანკმა“ „ფინკა ბანკი საქართველოს“ 100%-იანი წილი შეისყიდა, რის შედეგადაც ქვეყანაში კომერციული ბანკების რაოდენობა 15-დან 14-მდე შემცირდა. ნასყიდობას საფრანგეთის განვითარების საფინანსო ინსტიტუტმა – Proparco-მ დაუჭირა მხარი.

ავტორი: თამთა ჰიჭავაძე



Mr. Zsuzsanna Pirtskhalava

Mr. Zsuzsanna Pirtskhalava Regional Director

ნ ასყიდობის შედეგად „კრედო ბანკის“ მთლიანი აქტივების მოცულობა 1,5 მლრდ-დან 1,8 მლრდ ლარამდე გაიზარდა. ასლა ბანკს სხვა გეგმები აქვს – უფრო მეტი საბანკო პროდუქტის გაცეფრულება, უფრო მოქნილი სერვისების შეთავაზება და ორგანული ზრდა.

„გარდა ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისა, Proparco-ს გამოცდილება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – კორპორაციულ მართვაში. ისინი ამ კუთხითაც დაგვეხმარებიან“, – ამბობს „კრედო ბანკის“ გენერალური დირექტორი ზაზა ფირცხელავა, რომელიც ფინანსურ ინსტიტუტს 2014 წლიდან მართავს.

Proparco-ს წილი „კრედო ბანკში“ 15% იქნება. და-

ნარჩენი წილები ასე ნაწილდება: გერმანული Access Microfinance Holding AG – 51%, ჰოლანდიური Triodos Investment Management-ი – 17% და შვეიცარიული responsAbility Investments-ი – 17%.

ფირცხელავას თქმით, Proparco-ს მხრიდან დირექტორთა საბჭოში დიგიტალიზაციის მიმართულებით დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი შევა და ამ პროცესში ბანკს ექსპერტულ დახმარებას გაუწევს.

„კრედო ბანკსა“ და Proparco-ს შორის თანამშრომლობა ბოლო ტრანზაქციით არ დაწყებულა. საფრანგეთის განვითარების საფინანსო ინსტიტუტთან კომპანიას ხუთწლიანი ნაცოფიერი პარტნიორობა აკავშირებს როგორც სასესხო ინვეს-



ტიციების, ასევე ტექნიკური დახმარების კუთხით, რომელთა საერთო მოცულობა 120 მილიონ ლარს აღემატება. ერთ-ერთი ბოლო სესხი „კრედიტ ბანკმა“ Proparco-სგან გასული წლის მიწურულს მოიხიდა. მაშინ \$5-მლნ-იანი სასესხო ხელშეკრულება კოვიდპანდემიისგან დაზარალებული მიკრო-, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდასაჭერად გაფორმდა. „კრედიტ ბანკის“ მომხმარებელთა პორტფელის უმსხვილესი წილიც სწორედ ამ სეგმენტზე მოდის. ბანკის მისიაა მიკრო-, მცირე და საშუალო მეწარმეთათვის მდგრადი ფინანსური სერვისის შეთავაზება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფი ბიზნესების დახმარებით. რიცხვებში კი ეს ასე ითარგმნება: „კრედიტ ბანკი“ 79 სერვისცენტრით 337,000-ზე მეტი მომხმარებლის მხარდაჭერას ახორციელებს. ამ მაჩვენებლით ის ქვეყნის მიკრო-საფინანსო ბაზარზე წამყვანი ბანკია.

„Proparco-ს, როგორც განვითარების ინსტიტუტის მთავარი ფოკუსი მიკრომეწარმეების, საშუალო და მცირე საწარმოების მხარდაჭერაა. „კრედიტ ბანკის“ სამიზნე მომხმარებლებს კი სწორედ ისინი წარმოადგენენ. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ამ

სამიზნე ჯგუფზე პირდაპირ გავიდეოთ. ამიტომაც ვთანამშრომლობთ ისეთ ინსტიტუტებთან, რომლებიც გამოცდილები არიან, და რომელთა მიზანიც ჩვენს მიზანს ემთხვევა“, – ამბობს Proparco-ს რეგიონალური დირექტორი თურქეთში, კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, სტეფან ფროსარდი.

Proparco-ს საქმიანობა 40 წელზე მეტია, მიმართულია ეკონომიკური, სოციალური და გარემოს მდგრადი განვითარებისკენ, ინფრასტრუქტურული, განახლებადი ენერჯის, აგრობიზნესის, ფინანსური ინსტიტუციების, ჯანდაცვისა და განათლების სფეროს გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც ის ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას კომპანიებსა და საფინანსო ინსტიტუტებს აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში უწევს.

მსგავსი ინვესტორების მოზიდვა საქართველოსთვის და საფინანსო სექტორისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად შეინარჩუნებს მათ ბაზარი. როგორც ეროვნული ბანკის დირექტორი კობა გვენეტაძე აღნიშნავს, როდესაც ინვესტორი ახალ ბაზარზე შედის, ის ყოველთვის უყურებს, როგორია ამ ქვეყანაში სიტუაცია და

ზრდის პერსპექტივები. ამის გარეშე გადაწყვეტილებას არავინ იღებს. Proparco-ს მიერ ქართულ ფინანსურ ინსტიტუტში მრავალმილიონიანი ინვესტიციის განხორციელება კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ორგანიზაციას ქართული ფინანსური სისტემისა და ქვეყანაში არსებული მონეტარული პოლიტიკის მიმართ ნდობა აქვს. „ფინანსური სტაბილურობა ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის გარეშე ვერ მიიღწევა. Proparco-ს აქ ინვესტიციის განხორციელების საფუძველი ჰქონდა, ისევე როგორც, იმედი მაქვს, სხვა ორგანიზაციებსაც ექნებათ, რომლებიც პოტენციურად საქართველოში აპირებენ ინვესტირებას“, – ამბობს გვენეტაძე.

როგორც სტეფან ფროსარდი გვეუბნება, Proparco საქართველოში გრძელვადიანი პერიოდით შემოვიდა და მზადაა, „კრედიო ბანკის“ ზრდისთვის ფინანსური რესურსები უზრუნველყოს. კერძოდ, Proparco მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბანკის პოზიციონირების გაძლიერებაში და მხარს დაუჭერს მის მთავარ მიზანს – მიკრო-, მცირე და საშუალო ბიზნესებს მდგრადი ფინანსური სერვისები, განსაკუთრებით კი ციფრული და ინოვაციური პროდუქტებით შესთავაზოს.

ამ პროცესში „კრედიო ბანკს“ ახლახან შემოერთებული „ფინკას“ გუნდიც დაეხმარება. ზაზა ფირუცხელავას განმარტებით, „ფინკას“ ყველა თანამშრომელს შეინარჩუნებენ. „ძალიან კარგი გუნდი ჰყავს „ფინკას“, რაც ჩვენთვის დიდი შენაძენია. წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე ორი უკვე ყოფილი ფინკელი ავცივანეთ, საშუალო მენეჯერულ რგოლშიც ბევრი ფინკელი გაჩნდება. ამასთან, „ფინკას“ თანამშრომლებს უფრო მეტი შესაძლებლობაც მიეცემა, რომ გაზრდილ ბანკში უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ“, – ამბობს „კრედიო ბანკის“ გენერალური დირექტორი და დასძენს, რომ ეს გარიგება „ფინკას“ მომხმარებლებისთვისაც დადებითი ცვლილებების მომტანი იქნება, ვინაიდან მათ უფრო მეტი საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ.

ზაზა ფირუცხელავა დარწმუნებულია, რომ ბანკების სინერჯის ეფექტი დიდი იქნება. ბანკის მმართველის თქმით, „ფინკას“ შესყიდვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია პირველ რიგში იმიტომ, რომ „კრედიო ბანკის“ მასშტაბები გაფართოვდა: „გამომდინარე იქიდან, რომ საფინანსო სექტორში კონსოლიდაცია მიმდინარეობს, მცირე ზომის ბანკებს უკვე ძალიან უჭირთ კონკურენციის გაწევა და პროდუქტების განვითარება. ძირითადი გათვლა მოგებიანობის გაზრდა იყო. უფრო მეტი მასშტაბი ნიშნავს



უფრო მეტ მოგებიანობას“, – ამბობს ის.

თუმცა არც გასული 2020 წელი ყოფილა წაგებიანი. ბანკმა პანდემიის წელი მოგებით დაასრულა და მეტიც, საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის წმინდა მოგების მოცულობით „კრედიო ბანკი“ 10.9 მილიონი ლარით მესამე ადგილზე იყო. „კრედიო ბანკის“ გენდირექტორი ამბობს, რომ ამას ორი მიზეზი ჰქონდა: რისკების კარგად და სწორად მართვა და მათი პორტფელის სპეციფიკა. გამომდინარე იქიდან, რომ მათი აქცენტი ძირითადად მიკროფინანსებზე მოდის, რაც კრიზისების მიმართ ძირითადად რეზისტენტულია, გასულ წელს, „კრედიო ბანკს“ ნაკლები ვადაგადაცილებული სესხები ჰქონდა. ამის ხარჯზე სესხების რეზერვირება შედარებით ნაკლები იყო, რამაც საბოლოო ჯამში ბანკს მოგებიანობა შეუნარჩუნა.

როგორც ჩანს, საქართველოს საფინანსო ბაზარზე 24-წლიანი ოპერირების პერიოდში, „კრედიო ბანკმა“, რომელმაც საბანკო ლიცენზია 2017 წელს მოიპოვა, შეძლო მდგრადობის მიღწევა, სტაბილური ზრდის შენარჩუნება და მომხმარებელთათვის სანდო მომსახურების შეთავაზება. ბოლო გარიგებებით კი ბანკმა მასშტაბები გაზარდა, ახალი ინვესტიციებიც მოიზიდა და გუნდიც გააძლიერა.

„კრედიო ბანკის“ ახალი გამოწვევა მოგებიანობის უფრო სწრაფად გაზრდა და პროდუქტების გაციფრულება და გაუმჯობესებაა. პარალელურად, „ფინკასთან“ ინტეგრაციის პროცესი კლიენტებისა და ფილიალების შერწყმის კუთხით, 1 ნოემბრისთვის დასრულდება. სრულ ინტეგრაციას კი კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება. **S**

ბანკების რეიტინგი

საქართველოში მოქმედი ბანკების რეიტინგი აქტივების, სესხების, დეპოზიტების, კაპიტალისა და წმინდა მოგების მიხედვით



2020 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის 2008-2009 წლის კრიზისის შემდგომ ყველაზე რთული იყო. პანდემიამ და ორმა ლოკდაუნმა ქვეყანაში 6.4%-იანი რეცესია გამოიწვია, 14%-ით გააუფასურა ლარის გაცვლითი კურსი და მაღალი ინფლაციის წინაპირობა შექმნა. ტურიზმიდან შემოსავალი \$2.8 მილიარდით შემცირდა, სიღარიბის დონე კი 2%-ით, 21%-მდე გაიზარდა. მაღალი გაურკვევლობისა და ეკონომიკაში შემცირებული შემოსავლების ფონზე, მძიმე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა საბანკო სექტორი, რომელმაც პანდემიის პირველი ტალღის დროს სესხების გადავადებისა და რესტრუქტურირების პოლიტიკა დაიწყო.



2020 წლის დასაწყისში ეროვნულმა ბანკმა ბანკებს ფინანსური ბუფერების მოთხოვნები შეუმცირა, რითაც 1.6 მილიარდი ლარი გამოთავისუფლდა. ამ თანხიდან 1.1 მილიარდი ლარი ბანკებმა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის დაარეზერვეს. პარალელურად, გაიზარდა უმოქმედო სესხების მოცულობაც და მან 2020 წლის ბოლოს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 8%-ს გადააჭარბა. შედეგად, გასულ წელს 40%-ით შემცირდა ბანკების წმინდა მოგება და მან 750 მილიონი ლარი შეადგინა.

გასული წლის ბოლოსთვის საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელმა 38 მილიარდ ლარს მიაღწია, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, დაკრედიტების ზრდის წლიური ტემპი 9% იყო. ბანკების წლიური ფინანსური ანგარიშების მიხედვით, 2020 წელს აქტივების ზომით პირველ ადგილზე კვლავ „თიბისი ბანკი“ იყო, რომლის აქტივებიც 22.4 მილიარდ ლარს შეადგენდა 21.7 მილიარდი ლარით მეორე ადგილს „საქართველოს ბანკი“ იკავებს, მესამეზე კი 3 მილიარდის აქტივებით „ლიბერთი ბანკი“. ამ სამ ბანკზე მთლიანად საბანკო სექტორის აქტივების 79% მოდის. მსგავსი გადანაწილება სესხებისა და დეპოზიტების მხრივაც.

ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი
დადასტურებულია Grant Thornton-ის მიერ


#	ბანკების აქტივები	აქტივები 2020
1	თიბისი ბანკი	22,398,962,000
2	საქართველოს ბანკი	21,768,306,000
3	ლიბერთი ბანკი	2,981,966,362
4	ვითიბი ბანკი	2,131,642,000
5	ბაზისბანკი ▼1	2,068,738,000
6	პროკრედიტ ბანკი	1,923,358,000
7	ქართუ ბანკი	1,543,470,000
8	კრედიტ ბანკი ▲1	1,350,324,000
9	ტერაბანკი	1,296,765,000
10	ჰალივ ბანკი	668,024,000
11	პაშა ბანკი საქართველო	473,404,000
12	იშბანკი ▲1	327,317,833
13	ფინკა ბანკი საქართველო ▼1	287,702,303
14	ზირაათ ბანკი	131,634,613
15	სილქ როუდ ბანკი	87,494,000
ჯამი		59,439,108,111

#	ბანკების სესხები	სესხები 2020
1	თიბისი ბანკი	14,594,269,000
2	საქართველოს ბანკი	14,003,526,000
3	ლიბერთი ბანკი	1,672,980,140
4	ვითიბი ბანკი	1,398,651,000
5	პროკრედიტ ბანკი	1,354,923,000
6	ბაზისბანკი	1,075,253,000
7	კრედო ბანკი ▲1	1,036,426,000
8	ქართუ ბანკი ▼1	1,031,840,000
9	ტერაბანკი	898,812,000
10	ჰალივ ბანკი	516,327,000
11	პაშა ბანკი საქართველო	320,118,000
12	იშბანკი ▲1	229,735,048
13	ფინკა ბანკი საქართველო ▼1	194,486,360
14	ზირაათ ბანკი	56,908,893
15	სილქ როუდ ბანკი	10,943,000
ჯამი		38,395,198,441



#	ბანკების დეპოზიტები	დეპოზიტები 2020
1	საქართველოს ბანკი	14,052,479,000
2	თიბისი ბანკი	12,634,295,000
3	ლიბერთი ბანკი	2,162,519,132
4	ვითიბი ბანკი	1,336,855,000
5	პროკრედიტ ბანკი ▲2	977,404,000
6	ქართუ ბანკი ▼1	976,190,000
7	ბაზისბანკი ▼1	938,715,000
8	ტერაბანკი	861,486,000
9	პაშა ბანკი საქართველო	210,222,000
10	ჰალივ ბანკი ▲1	186,304,000
11	ფინკა ბანკი საქართველო ▼1	166,672,277
12	კრედო ბანკი	154,083,000
13	იშბანკი ▲1	75,404,316
14	ზირაათ ბანკი ▼1	67,138,140
15	სილქ როუდ ბანკი	7,540,000
ჯამი		34,807,306,865

#	ბანკების მოგება	ბანკების წმინდა მოგება 2020
1	თიბისი ბანკი	356,481,000
2	საქართველოს ბანკი	316,498,000
3	პროკრედიტ ბანკი ▲3	28,735,000
4	ვითიბი ბანკი	26,714,000
5	ბაზისბანკი ▼2	24,221,000
6	კრედო ბანკი ▼1	10,950,000
7	ქართუ ბანკი ▲1	10,074,000
8	ტერაბანკი ▲1	3,919,000
9	იშბანკი ▲3	2,797,749
10	ზირაათ ბანკი ▲3	2,775,330
11	ჰალივ ბანკი ▼1	2,155,000
12	ფინკა ბანკი საქართველო ▼1	569,318
13	სილქ როუდ ბანკი ▲1	-1,070,000
14	ლიბერთი ბანკი ▼7	-15,173,231
15	პაშა ბანკი საქართველო	-19,253,000
ჯამი		750,393,166



#	ბანკების კაპიტალი	ბანკების კაპიტალი 2020
1	თიბისი ბანკი	2,830,180,000
2	საქართველოს ბანკი	2,488,300,000
3	ქართუ ბანკი	337,877,000
4	ვითიბი ბანკი ▲2	308,993,000
5	ბაზისბანკი	308,890,000
6	ლიბერთი ბანკი ▼2	285,463,060
7	პროკრედიტ ბანკი	243,089,000
8	კრედო ბანკი ▲1	163,638,000
9	ტერაბანკი ▼1	163,196,000
10	ჰალივ ბანკი	125,776,000
11	იშბანკი ▲1	83,316,027
12	პაშა ბანკი საქართველო ▼1	83,084,000
13	სილქ როუდ ბანკი	62,953,000
14	ზირაათ ბანკი	59,913,360
15	ფინკა ბანკი საქართველო	49,373,556
ჯამი		7,594,042,003



www.forbes.ge



ახალი ამბები / News



facebook.com/forbesgeo



twitter.com/forbesgeorgian



youtube.com/forbesgeorgian



pinterest.com/forbesgeorgia



linkedin.com/company/forbes-georgia



instagram.com/forbesgeorgia



საბანკო სექტორის 2020 წელი

შეძლეს თუ არა ქართულმა კომერციულმა ბანკებმა და მათმა მომხმარებლებმა ახალ რეალობასთან ადაპტაცია – ამ კითხვაზე პასუხია დიახ, მაგრამ ამისთვის მთლიანად საფინანსო სისტემამ მძიმე ფასი გადაიხადა, რადგან გაიზარდა ფინანსური რისკები, შემცირდა ბანკების მოგება, ქვეყნის ეკონომიკაში კი კომერციული ვალის ტვირთმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი

2020 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის უმძიმესი იყო. 6.4%-იანი ეკონომიკური ვარდნა, მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება და პანდემიის თანამდევრი გაურკვევლობა ეკონომიკის ყოველ სექტორზე მძიმედ აისახა. კომერციული ბანკები კრიტიკული ამოცანის წინაშე დადგნენ: გაორმაგებული უმოქმედო სესხებისა და მომატებული რისკების ფონზე, მათ ეკონომიკის უწყვეტად დაკრედიტება უნდა განეგრძოთ.

კრიზისის დაწყებიდან მალევე, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო ბუფერების მოთხოვნები შეამცირა, რითაც საფინანსო სექტორში 1.6 მილიარდი ლარი გამოთავისუფლდა. ამ თანხიდან 1.1 მილიარდი ლარი ბანკებმა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის დაარეზერვეს. საკრედიტო დანაკარგების ბუფერზე გაწეული ხარჯების გამო, 2020 წელს 40%-ით შემცირდა ბანკების ჯამური მოგება და მან 750 მილიონი ლარი შეადგინა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური აღდგენის პარალელურად, ბანკებში საკრედიტო რისკები მცირდება. უმოქმედო სესხების მოცულობამ პიკს 2020 წლის ნოემბერში მიაღწია და მთლიანი საკრედიტო პორტფელის 8.6% შეადგინა, 2021 წელს კი, ეკონომიკური აღდგენის პარალელურად, ის 7.6%-მდე შემცირდა. შესაბამისად, საფინანსო სექტორმა ყველაზე მძიმე პერიოდი უკვე გადალახა.

ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანი რისკები კვლავ შენარჩუნებულია – ეროვნულ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთები ისევ მაღალია, რადგანაც რეკორდულად გამრდილი ინფლაციის გამო, სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი 9.5%-მდე გაზარდა. შედეგად, ლარის სესხების განაკვეთი გაიზარდა – მაგალითად, წლიურ ტრილში ლარის იპოთეკური სესხების განაკვეთი 1%-ით, 11.7%-მდე გაიზარდა.


ლარის გაუფასურების გამო დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ ბიზნესები და ფიზიკური პირები, რომელთაც სავალუტო სესხები ჰქონდათ აღებული. მაგალითად, ლარის იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხები, რაც 2020 წლამდე 1.5% იყო, 4%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტის იპოთეკებში 2020 წლამდე თუ უმოქმედო სესხების წილი 3.6% იყო, 2020 წელს ის 11%-მდე გაიზარდა.

თუკი 2019 წლის ბოლოსთვის რესტრუქტურირებული იყო საბანკო სესხების 5%, 2020 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 20%-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ საბანკო სისტემაში არსებული 39-მილიარდიანი საკრედიტო პორტფელიდან 7.6 მილიარდი ლარის სესხები რესტრუქტურირებულია. მათ შორის ყველაზე მეტი რესტრუქტურირაცია სავალუტო სესხებს დასჭირდა, რომელთა მთლიანი პორტფელის 25%-იც 2020 წლის ბოლოს რესტრუქტურირებული იყო.

2020 წელს საქართველოს საბანკო სექტორის აქტივების ზომამ პირველად გადააჭარბა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას და 56.9 მილიარდი ლარი გახდა. ამის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი თავად საქართველოს მშპ-ის მოცულობის შემცირება იყო.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 38 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 9 პროცენტი იყო. ამ მატების შედეგად, საბანკო სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ასევე რეკორდულ მაჩვენებელამდე, 77.4%-მდე გაიზარდა, ეს კი, თავის მხრივ, ქვეყანაში ვალის მზარდ ტვირთზე მეტყველებს. შედარებისთვის, 2019 წელს საბანკო სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან – 65%, 2018 წელს კი 60% იყო.


საქართველოს საბანკო სექტორის აქტივები VS მთლიანი შიდა პროდუქტის ზომა 2010-2021 წლებში



ეროვნული ბანკის სტატისტიკიდან ჩანს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა შშპ-სთან მიმართებით 2.7-ჯერ არის გაზრდილი. შესაბამისად, დღეს საქართველოს ეკონომიკა საბანკო სექტორზე გაცილებით უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე, მაგალითად, 10 წლის წინ იყო. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, ვალის მოცულობის ზრდა ახალი სესხების გაცემასთან ერთად, ლარის გაუფასურებამაც გამოიწვია, რადგანაც სავალუტო სესხების ნაშთი ლარში გამოსახულ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით უფრო დიდია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო.


ბანკებს სესხების ნახევარზე მეტი (60%) კორპორაციულ სექტორზე აქვთ გაცემული, ფიზიკური პირების დაკრედიტება კი 14.5 მილიარდ ლარს შეადგენს, აქედან ყველაზე დიდი ოდენობის თანხა – 8 მილიარდი ლარი მოქალაქეთა იპოთეკური სესხებია.

ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა და მათი შშპ-სთან ფარდობა




კორპორაციული მიმართულებით კი ყველაზე მეტი სესხი ვაჭრობის სექტორზეა გაცემული, რისი მოცულობაც 3.6 მილიარდი ლარია. მეორე ადგილზეა ტურიზმის სექტორი, რომელზეც 2.9 მილიარდის სესხებია გაცემული – პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, ამ სესხების მომსახურების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რასაც ამძივებდა ის გარემოება, რომ ტურიზმის სექტორში არსებული საკრედიტო პორტფელის 88% უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული და ლარის გაუფასურებამ მისი მომსახურება გააძვირა. ასევე ძირითადად უცხოურ ვალუტაშია უძრავი ქონების მენეჯმენტისა და დეველოპერული სექტორის დაკრედიტებაც, რომლის მოცულობაც 2.4 და 1.2 მილიარდ ლარს შეადგენს.

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების განაწილება დანიშნულების მიხედვით:




ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისისა და გაურკვევლობის გამო, არსებობდა კითხვები, შეძლებდა თუ არა უძრავი ქონების სექტორი პანდემიასთან გამკლავებას. რის გამოც, მთავრობამ ბაზარზე ჩარევა და იპოთეკური სესხების სუბსიდირება გადაწყვიტა. 2020 წლის მეორე ნახევარში დამტკიცებულ ყველა სესხზე ბიუჯეტი საპროცენტო განაკვეთის 4%-ს ასუბსიდირებს. პროგრამით სულ 8,443 მსესხებელმა ისარგებლა და მათ მიერ ჯამურად აღებული ახალი იპოთეკურმა სესხებმა 829 მილიონი ლარი შეადგინა.

რომელ სექტორებს აფინანსებენ ქართული ბანკები? - გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით:



პანდემიურმა კრიზისმა უმოქმედო სესხების აბსოლუტური მოცულობა რეკორდულ 3.2 მილიარდ ლარამდე გაზარდა, თუმცა მთლიან საკრედიტო პორტფელთან მიმართებით, მისი შეფარდება უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა ეკონომიკური კრიზისის – 2009-2010 წლების ფინანსური სირთულეების დროს იყო. მაშინ უმოქმედო სესხების მოცულობამ 12%-საგ გადააჭარბა, თუმცა ბანკებმა რამდენიმე წელიწადში შეძლეს მისი 7%-მდე შემცირება. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ ქართულმა საფინანსო სექტორმა 2015-2016 წლების ლარის გაუფასურების პირველ ტალღას ისე გაართვა თავი, რომ საკრედიტო პორტფელში უმოქმედო სესხების წილი არ გაზარდილა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საბანკო სესხების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 80%-ს აღწევს, ეკონომიკის მოწყვლადობა უმოქმედო სესხების მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე 10 წლის წინ იყო.

უმოქმედო სესხების მოცულობა და მისი წილი ბანკების მთლიან დაკრედიტებაში




ეკონომიკაში გაურკვეველობის მატების გამო, შემცირდა საპროცენტო სარგებელი უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე. თუკი 2019 წელს სავალუტო დეპოზიტებზე 3%-იანი ამონაგების მიღება იყო შესაძლებელი, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 2.8%-მდე, 2021 წელს კი 2.1%-მდე შემცირდა. თავის მხრივ, სარგებლის კლება ქართულ ბანკებში დაზოგვის მიმზიდველობას ამცირებს.

ლარის დეპოზიტებზე კი პირიქით – საპროცენტო განაკვეთი მზარდია, რაც ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის მატებას უკავშირდება. დღეისთვის ლარის დეპოზიტის საშუალო წლიური სარგებელი 9.7%-ია, 2020 წელს ეს მაჩვენებელი – 9.4%, 2019 წელს კი 8% იყო. ამის მიუხედავად, ლარში დაზოგვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რადგან მაღალი ინფლაციის პირობებში ლარში დაზოგვის რისკები მზარდია. 2021 წლის იენისში წლიური ინფლაცია 9.9% იყო, შესაბამისად, ინფლაციის დონე ლარში საპროცენტო სარგებელს უკვე აჭარბებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოში 9%-ზე მაღალი ინფლაცია 2021 წლის ბოლომდე შენარჩუნდება, 2022 წლიდან კი ის სამიზნე მაჩვენებელს დაუახლოვდება.


სავარაუდოდ, სწორედ ამ რისკის გათვალისწინებით, ფიზიკური პირები უცხოურ ვალუტაში დაზოგვას ამჯობინებენ. მოქალაქეთა საბანკო დანაზოგების მოცულობა 18.8 მილიარდი ლარია, საიდანაც 14.1 მილიარდი ლარი უცხოური ვალუტის, 4.7 მილიარდი ლარი კი ეროვნული ვალუტის დეპოზიტებზე მოდის. შესაბამისად, უცხოური ვალუტის დანაზოგების დაბალი საპროცენტო სარგებლის მიუხედავად, მოსახლეობა საკუთარი ქონების შესანახად მთავარ არჩევანს სწორედ უცხოურ ვალუტაში დაზოგვაზე აკეთებს.

იურიდიული პირების შემთხვევაში კი მათ დეპოზიტებში ეროვნული ვალუტის წილი 49%-ია. ასეთი გადანაწილება გამოწვეულია იმით, რომ კომპანიები ფინანსური ანგარიშსწორებისას და სავადასახადო ადმინისტრირებისას სწორედ ლარს იყენებენ, ამიტომაც მათ საბანკო ანგარიშებზე თანხის ნახევარი ეროვნულ ვალუტაშია განთავსებული.

საპროცენტო სარგებელი ლარის და უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე



დეპოზიტები - რა თანხას ინახავენ ფიზიკური და იურიდიული პირები ბანკებში




რაც შეეხება სესხების საპროცენტო განაკვეთებს, ისინი 2020-2021 წლების განმავლობაში თითქმის უცვლელია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, დღეისთვის ლარის სესხის საშუალო განაკვეთი 15.4%-ია, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 15.3%-ს, 2019 წელს კი 15.8%-ს შეადგენდა.

სავალუტო სესხების მიმართულებით წელს განაკვეთების მცირედი შემცირებაც შეიმჩნევა. ამჟამად, უცხოური ვალუტის სესხების საშუალო საბაზრო განაკვეთი 6.7%-ია, ერთი წლის წინ ის 6.9%-ს, 2019 წელს კი 7.7%-ს შეადგენდა.

სავალუტო სესხების განაკვეთის შემცირება სხვა ფაქტორებთან ერთად ბაზარზე არსებულ რეგულაციებს უკავშირდება. 2019 წლიდან მოყოლებული, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე კომპანიებისთვის 200,000 ლარამდე მოცულობის სესხის აღება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში არის შესაძლებელი. ამ აკრძალვის გამო, კომერციულმა ბანკებმა სავალუტო სესხების პოტენციური მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს. შედეგად, დღეისთვის დოლარისა და ევროს სესხები ძირითადად კორპორაციულ სექტორზე გაიყვანა.

შესაბამისად, შეიქმნა ვითარება, როდესაც ბანკებს დეპოზიტების 2/3 სწორედ უცხოურ ვალუტაში აქვთ ნომინირებული, თუმცა სესხების მიმართულებით მათ სავალუტო კრედიტების გაცემა შეეზღუდათ. შექმნილია ჭარბმა სავალუტო ლიკვიდობამ სავალუტო დეპოზიტებისა და სავალუტო კრედიტების განაკვეთების შემცირება გამოიწვია.


საპროცენტო განაკვეთი ლარის და უცხოური ვალუტის სესხებზე




2021 წლის პირველ ნახევარში თხუთმეტივე კომერციული ბანკი 2020 წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულ ფინანსურ შედეგებს დაუბრუნდა. ამ პერიოდის განმავლობაში საბანკო სისტემამ ჯამურად 1.06 მილიარდი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა, რაც მთლიანად 2020 წლის შედეგებს უკვე 41%-ით აღემატება. თუკი წლის ბოლომდე მოგების ასეთი ტრენდი გაგრძელდა, მაშინ ქართულმა ბანკებმა 2021 წელი შესაძლოა რეკორდული მოცულობის მოგებით დაასრულონ.

აქამდე ბანკების მიერ გამომუშავებული მაქსიმალური მოგება 2019 წელს დაფიქსირდა, როდესაც მათ 1.26 მილიარდი ლარის წმინდა მოგება მიიღეს. თუკი უფრო გრძელვადიან პერიოდს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ქართული ბანკების მოგება 2010-2019 წლებში თითქმის 10-ჯერ გაიზარდა.

ქართული კომერციული ბანკების მოგება 2010-2021 წლებში



ჯერჯერობით, 2021 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის დაკრედიტების ზრდის ტემპი დაახლოებით 11.4%-ია, მათ შორის 13%-ს აღემატება ფიზიკური პირების დაკრედიტების მატება, ხოლო კორპორაციული სესხების მოცულობა 8.9%-ით იზრდება. დაკრედიტების ასეთი ტემპი თანხვდენილია წელს საქართველოს მოსალოდნელ ეკონომიკურ ზრდასთან, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 7.7% უნდა იყოს.

პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, კვლავ შენარჩუნებულია მძიმე ეპიდემიური რისკები, რომლებიც მომავალში გაუარესებულ ეკონომიკურ ვითარებაში შეიძლება ითარგმნოს. ამ რისკების პრევენციისთვის კი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ბანკი და IMF-ი, საქართველოს მოსახლეობის ვაქცინაციის დაჩქარებისკენ მოუწოდებენ, რადგანაც არსებულ ვითარებაში როგორც ეკონომიკისთვის, ასევე მოსახლეობისთვის მთავარი გამოწვევა სწორედ პანდემიური რისკების შემცირებაა. თუ როგორ გაართმევს ამ ამოცანას თავს ქვეყანა, ამას დრო გვიჩვენებს. 

ევროპის ბოშავალი ფინტექ- ჩემპიონი

თამაზ გიორგაძის მიერ გერმანიაში დაფუძნებულმა ფინტექ-კომპანია Raisin-მა, რომელსაც 355 ათასზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, გლობალურ ბაზარზე აღიარებულ კიდევ ერთ გერმანულ ფინტექ-კომპანია Deposit Solutions-თან შერწყმა გადაწყვიტა. გაერთიანებულ კომპანიას Raisin DS-ი დაერქვა. **თამაზ გიორგაძე** ჩვენთან როგორც უკვე გაერთიანებული კომპანიის პერსპექტივებსა და გეგმებზე, ასევე საქართველოში საფინანსო სექტორის განვითარებაზე საუბრობს.

საბოლოო: თამაზ ჰიჯავაძე





ბატონო თამაზ, შერწყმისთანავე, Deposit Solutions-ში განაცხადეს, რომ თქვენს კომპანიებს შორის არსებული ჯანსაღი კონკურენცია დაგეხმარათ, უფრო ძლიერი და ურთიერთშემავსებელ კომპანიებად ჩამოყალიბებულიყავით. რა მიმართულებით შეავსეთ ერთმანეთი, რამაც გაერთიანება გადაგაწყვეტინათ?

ჩვენი პროდუქტები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. Deposit Solutions-ი არის პლატფორმა, რომელიც შემნახველ პროდუქტებთანაა დაკავშირებული. ამაში ჩართული არიან ბანკები, ვინაიდან ეს არის დაზღვეული დეპოზიტები. ჩვენი პროდუქტი კი პირდაპირ მომხმარებლისკენ უფრო იყო მიმართული. რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს Open Banking-ის თანამშრომლობები Commerzbank-თან, Aviva-სთან, ასევე N26-სთან, რომელიც ნეობანკია გერმანიაში და ა.შ.

მეორე მხრივ, Deposit Solutions-ს უფრო დიდი ბიზნესი ჰქონდა თანამშრომლობის კუთხით დიდ ბანკებთან, ერთობლივი პროდუქტის შექმნაში. აქედან გამომდინარე, პროდუქტი ერთმანეთს კონკურენციას უწევს, ვინაიდან ერთი და იმავე ბანკების შემნახველ პროდუქტებს ვთავაზობთ კლიენტებს, ამავე დროს ჩვენ უფრო სამომხმარებლო განხრით მივდიოდით, ხოლო Deposit Solutions-ი - უფრო B2B მიმართულებით. ბევრი სინერჯია არსებობს, პარტნიორებისთვის უკეთესი პროდუქტის შექმნა ხდება შესაძლებელი, ვინაიდან პლატფორმაზე უფრო მეტი ბანკი და უფრო მეტი პროდუქტი იქნება წარმოდგენილი. რაც, რა თქმა უნდა, უკეთესია ჩვენი პარტნიორი ბანკებისთვის, ამავე დროს მომხმარებლისთვისაც უკეთესია, ვინაიდან ის უფრო სრულყოფილ და სასარგებლო სერვისს მოძებნის ჩვენს პლატფორმაზე.

ორივე კომპანია დასახელებულია როგორც გერმანიის ფინტექ-ჩემპიონი. თქვენი პარტნიორი ტიპი სივრცის ამბობს, რომ მომავალში საქმე გვექნება ვეროპის ჩემპიონთან. რას ელით ამ თანამშრომლობისგან?

ეს გაერთიანებული კომპანია, რომელსაც 600-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს და თავისი საბანკო ლიცენზია აქვს, საკმაოდ საინტერესო პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს რო-

გორც ვეროპაში, ასევე ამერიკაში. მართლაც აქვს ამ კომპანიას დიდი პოტენციალი, რომ ვეროპის ერთ-ერთი ფინტექ-ჩემპიონი გახდეს. ინვესტირებული თანხის მოცულობა 20 მილიარდ ვეროზე მეტია, რაც კომპანიას მოწინავე რიგებში აყენებს. ზრდის ტემპიც კარგი გვაქვს. ჩვენ შარშანდელთან შედარებით 40%-ით გავიზარდეთ. ამ სისტემას უფრო გავაუმჯობესებთ, ვინაიდან გაერთიანებულ კომპანიას უფრო მეტი რესურსიც აქვს, შესაბამისად, კომპანია უფრო სწრაფად შეძლებს როგორც ახალი პარტნიორების აყვანას, ასევე მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზებას.

კომპანია Raisin DS-ს ამჟამად ორი CO-CEO ჰყავს. როგორ გადაანაწილდება მენეჯმენტი?

ჩვენ დაახლოებით ერთი წლის წინ გადაგვიწყვიტეთ, რომ კომპანიისთვის ხანგრძლივი ვადით ორი CO-CEO-ს არსებობა ხელსაყრელი არ იქნება. ამიტომ გადაგვიწყვიტეთ, ერთი CEO დარჩეს კომპანიაში. რა თქმა უნდა, ორივეს გვაქვს ჩვენ მიერ ერთად შექმნილი კომპანიის ღრმა გაგება და ვფიქრობთ, საერთო ძალები არის საჭირო, რომ ტრანსფორმაციის პროექტი წარმატებით დასრულდეს. ექვსი თვე ერთიანი ძალისხმევით შევეცდებით, ახალ ორგანიზაციას ბიძგი მივცეთ. შემდეგ მე გავაგრძელებ ამ კომპანიის CEO-ს პოზიციაზე მუშაობას. გარდა ამისა, რამდენიმე მმართველი დირექტორიც გვყავს კომპანიაში.

შემდეგი ნაბიჯი რა იქნება Raisin DS-ში?

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მთავარ პროდუქტზე, რაც შემნახველ ანგარიშებს ეხება. ამის გარდა ჩვენ დაახლოებით სამი წლის საინვესტიციო და საპენსიო პროდუქტების ხაზი გავხსენით. ამ ხნის განმავლობაში მილიარდზე მეტი ევრო შემოვიდა საინვესტიციო ანგარიშებზე. ამ მიმართულებით ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა, განვითარება გავაგრძელოთ და დავაჩქაროთ. კლიენტების ბაზა, რომელთათვისაც ამ პროდუქტების შეთავაზება შეგვიძლია, გაერთიანების შედეგად გაფართოვდა. შერწყმის შემდეგ ორივე კომპანიას 550 000-ზე მეტი პირდაპირი კლიენტი ჰყავს.

ასევე ამერიკის ბაზარზე ორივე კომპანია

დავიწყეთ ოპერირება, თუმცა - სხვადასხვა სტრატეგიით. იქაც გვინდა უფრო მეტი ინვესტირება და ზრდის დაჩქარება, რათა ამერიკის ბაზარი ჩვენთვის ერთ-ერთი მშობლიური და დიდი ბაზარი გახდეს. დღესდღეობით ჩვენთვის ყველაზე დიდი ბაზარი გერმანიაა, სიდიდით მეორე უმსხვილესი ბაზარი - გაერთიანებული სამეფო. ვფიქრობ, ამერიკას აქვს პოტენციალი, რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენთვის სიდიდით მესამე ბაზარი გახდეს.

Open Banking-ზეც მინდა გკითხოთ, რომელმაც ფრთები გაშალა და უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი ხდება. რა ძირითად უპირატესობებს ხედავთ მასში?

Open Banking-ი სამომხმარებლო თვალსაზრისით უდავო უპირატესობაა. რატომ უნდა იყოს შეზღუდული ჩემი არჩევანი და რატომ არ უნდა მქონდეს შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ბანკის და საინვესტიციო კომპანიის პროდუქტები ერთ ფანჯარაში გავხსნა და მოვიხმარო? იდეა გასაგებია, ეს პლატფორმა მუშაობს არასაბანკო სფეროშიც - რიტეილში, Food Delivery-ს კუთხით და, რა თქმა უნდა, საბანკო სფეროში მუშაობს და მომავალშიც იმუშავებს. ამაში დარწმუნებული ვარ. ვფიქრობ, ბევრმა ბანკმა ეს უკვე გაიაზრა, უბრალოდ ტრანსფორმაციის სიჩქარე და სიღრმეა განსხვავებული. თუმცა, თუ ძალიან დააყოვნე, სხვა გადაგასწრებს.

ადევნებთ თუ არა დეტალურად თვალსაქართველოში საფინანსო სექტორის განვითარებას? როგორ შეაფასებთ ამ მიმართულებას საქართველოში, სადაც საერთო ჯამში 14 ბანკი იქნება, ვინაიდან „კრედოს“ მიერ „ფინკა ბანკის“ ნახყიდობა უკვე დადასტურდა.

რა თქმა უნდა, ვადევნებ, „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და რისკების კომიტეტის თავმჯდომარეც ვარ, ამიტომ პროფესიული თვალსაზრისით მიწევს საბანკო ბაზრის განვითარების დეტალურად გაცნობა. ერთ რამეს ვიტყვი, რაც დასამაალი არც არის. ჩვენი ქვეყნის განვითარებასთან შედარებით, ჩვენი საბანკო სექტორი ძალიან განვითარებულია იმ პროდუქტებისა და სერვისების

თვალსაზრისით, რასაც მომხმარებელს სთავაზობს. იქნება ეს Mobile Bank-ის აპლიკაციები თუ Open Banking-ის აპლიკაციები, და ა.შ. სერვისების დონე ძალიან მაღალია, ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დარგია საქართველოს ეკონომიკაში, სადაც როგორც ტალანტი, ასევე ტექნოლოგიაც კარგად ჩამოყალიბდა.

რამდენად დასაჩქარებელია პროცესი ფინტექ- და, მაგალითად, Open Banking-ის მიმართულებით?

საქართველოში ბანკების წარმომადგენლებს ვიცნობ და ვფიქრობ, რომ საკმაოდ ღია და პროგრესული შეხედულებები აქვთ მათ Open Banking-თან დაკავშირებით. სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, მე გერმანიის გამოცდილება მაქვს და აქ PSD2-ის შემოღებამ გამოიწვია ის, რომ მესამე ბანკის შეერთება ანგარიშზე უფრო გართულდა მომხმარებლისთვის, რაც ბანკების ინტერესში შედიოდა. მე ასეთ განვითარებას ვერ ვხედავ საქართველოში, პირიქით, ვფიქრობ, საქართველოში ბანკებს Open Banking-ის პროექტების განხორციელება სურთ და კომერციული თვალსაზრისითაც უყურებენ ამას. ამიტომაც ვფიქრობ, ამ მიმართულებით განვითარება უფრო მეტი იქნება, ვიდრე ევროპაში, სადაც ეს თემა მასობრივად განიხილება, სადაც პროგრესი კი არა, ხშირად პირიქით, რეგრესი კი არის ამ მიმართულებით.

გარდა „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისა და რისკების კომიტეტის თავმჯდომარეობისა, უკავშირებით თუ არა თქვენს გეგმებს საქართველოს?

სამი წლის წინ Startup Grind-ის წარმომადგენლებმა მკითხეს, მქონდა თუ არა სურვილი, მათ ღონისძიებაში მონაწილეობა მიმეღო. მე, რა თქმა უნდა, აქტიურად მივიღე მონაწილეობა და ძალიან მომეწონა. ახლა, როგორც ჩანს, საქართველოში სტარტაპ-ეკოსისტემა იქმნება. კომპანიები იქმნება, რომელთაც კარგი პროდუქტები აქვთ. ამით ვამაყობ კიდევაც, და თვალყურსაც ვადევნებ. ბიზნესის თვალსაზრისით არ ვარ ჩართული, მაგრამ მინტერესებს ამ მიმართულების განვითარება. **F**

ევროპის ფინანსური ინდუსტრიის ეპიდენტი

გლობალური ფინანსური სერვისების ინდუსტრია განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. მიუხედავად კოვიდპანდემიით გამოწვეული სირთულეებისა და ბუნდოვანებისა, მსხვილი ბანკები გაბედულად დგამენ ნაბიჯებს და სოლიდურ საინვესტიციო გადაწყვეტილებებსაც იღებენ, რაც, ანალიტიკოსების მოსაზრებით, ბანკების, აქტივების მმართველი კომპანიებისა და სხვა ფინანსური სერვისების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. მათ შორის არის გერმანული უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტი „დოიჩე ბანკი“, რომლის აქტივების საერთო მოცულობა 2020 წლის ბოლოს 1.33 ტრილიონ ევროს შეადგენდა. Forbes Georgia-მ „დოიჩე ბანკის“ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, ნიკოლოზ დონაძე ჩაწერა, რომელიც ევროზონის ფინანსური ცენტრიდან საბანკო სექტორის ტენდენციებს აკვირდება.

ავტორი: თამთა ჰიჯაგაძე

ბატონო ნიკოლოზ, თქვენ უკვე ორ წელზე მეტია, რაც Deutsche Bank-ში საკრედიტო ბიზნესის მიმართულებით (Leveraged Finance)* ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებთ. რა შედეგს მოვალეობაში?

ჩვენი დეპარტამენტი EMEA-ს (ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის) რეგიონში სტრუქტურირებულ საკრედიტო გადაწყვეტებს სთავაზობს პირველ რიგში საინვესტიციო ფონდებს ისეთი ტრანზაქციების დროს, როგორც არის LBO (Leveraged buyout), რეფინანსირება, ზრდის კაპიტალის მიწოდება (CAPEX financing), IPO-ს (აქციების პირველადი საჯარო განთავსება) წინა და შემდგომი დაფინანსება და სხვა. ჩვენ ასევე კლიენტებს ზრდის პროცესში სტრატეგიული შესყიდვების დაფინანსებით უზრუნველვყოფთ. ჩვენს მომხმარებლებს ძირითადად ევროპული მსხვილი და საშუალო ზომის კარგად დაფუძნებული კომპანიები წარმოადგენენ. „დოიჩე ბანკი“ ამ სეგმენტში ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ინსტიტუტია მთელი ევროპის და მსოფლიო მასშტაბითაც.

თქვენ მანამდე დიდი ბრიტანეთის ბაზარზე მუშაობდით ამავე პოზიციაზე. ეს ორი ქვეყანა რომ შევადაროთ ერთმანეთს Leveraged Finance-ის განვითარებისა და სპეციფიკის კუთხით...

თავდაპირველად ვისაუბრებ მსგავსებაზე,



რაც ამ ორ ბაზარს ახასიათებს. გამომდინარე იქიდან, რომ ვეროპაში 2008-2010 წლების ფინანსური კრიზისის შემდგომ დაბალი საპროცენტო განაკვეთებია, ინვესტორების ფოკუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადად ალტერნატიულ აქტივებში კაპიტალის დაბანდებებზე, მაგალითად, კერძო საინვესტიციო ფონდებში (Private Equity) ინვესტირებაზე. საინვესტიციო ფონდების მიერ განხორციელებული ტრანზაქციები განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსირებით გამოირჩევა, რომლის მიწოდების თვალსაზრისითაც ბანკებს ცენტრალური როლი უჭირავთ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ ორ რევიონში - დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში - ეს ბაზარი ბოლო დეკადაში უპრეცედენტოდ გაიზარდა. თუმცა, ბუნებრივია, არის განსხვავებებიც: მაგალითად, განსხვავება შესამჩნევია ამ ორი ბაზრის განვითარების დინამიკის კუთხით. დიდ ბრიტანეთში საბაზრო გარემო და ზოგადად ყველა ე.წ. სტეიკჰოლდერი უფრო მეტად ღიაა კერძო საინვესტიციო ფონდებისა და მათი აქტივობების მიმართ. გერმანიაში კი პოლიტიკოსები და აქაური საფინანსო საზოგადოება ტრადიციულად უფრო მეტად სკეპტიკურად არიან განწყობილი კერძო საინვესტიციო ფონდების ინდუსტრიისადმი. აქ გასულ წლებში ასეთი ფონდების უფრო მეტად მოგებაზე, ვიდრე სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომა კრიტიკულად ფასდებოდა.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის ბაზარი, როგორც პირველი ვეროპაში, აშშ-ის LBO-ბაზრის ახალ ტენდენციებსა და დინამიკას უფრო სწრაფად ითვისებს. აღნიშნული ტენდენციები ისტორიულად შედარებით ნელა იკიდებს ფეხს დანარჩენ ვეროპაში, მათ შორის გერმანიაშიც. ამ კონტექსტში არც არის გასაკვირი, რომ გაცილებით ახალჩამოყალიბებული აქტივების მიმართულება, რომელსაც „კერძო საკრედიტო ფონდებს“ (Private Debt Funds) უწოდებენ, უფრო მეტად გაიზარდა და განვითარდა ბრიტანეთში, ვიდრე ის სხვა ბაზრებზე გამოჩნდებოდა, მათ შორის - გერმანიაშიც. დიდი ბრიტანეთი ისტორიულად იყო და რჩება ვეროპაში უმსხვილეს LBO-ბაზრად. თუმცა, ამ კუთხით, ეს ქვეყანა გარკვეული სირთულის წინაშე დგას, რაც ბრექსიტის და სტერლინგის შესუსტების ფაქტორებითაა გამოწვეული და რამაც ბაზრის ზრდის ტემპი გასულ წლებში შეანელა.

გერმანიაში აქტივების ამ ჯგუფმა თავისი სიმტკიცე და მდგრადობა აჩვენა სხვადასხვა ეკონომი-

კური ციკლების განმავლობაში და თანდათან უფრო პოპულარული ხდება. გაზრდილმა მიმღებლობამ და გერმანიის ეკონომიკის მდგრადობამ გამოიწვია ის, რომ საშუალო ზომის კომპანიებმა და მათმა მფლობელებმა საინვესტიციო ფირმებმა გააძლიერეს ინტერესი, რაც ხელს უწყობს ამ ბაზრის ზრდას. ეს კი ქმნის იმის შესაძლებლობას და პოტენციალს, რომ გერმანია ბრიტანეთის ბაზარს გრძელვადიან პერსპექტივაში გაუთანაბრდეს.

გერმანიის საფინანსო ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი კონტრიბუტორია. რა გამოწვევებს ხედავთ ამ სექტორში? რამდენად სწრაფად ვითარდება ის და რა უქმნის დაბრკოლებებს?

საფინანსო ინდუსტრია და განსაკუთრებით ბანკები არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან: ახალი არ არის, რომ დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა, რაც ბოლო ათწლეულმა მოიტანა, ვეროპაში საფინანსო ინსტიტუტების შემოსავლების კლება გამოიწვია. ამ ტენდენციის შემობრუნება დღესდღეობით არ არის პროგნოზირებადი და ის საფინანსო ინსტიტუტებისთვის მთავარ გამოწვევად დარჩება. მეორე მხრივ, რეგულაციების გაზრდამ, მაგალითად, ფინანსური დანაშაულის პრევენციის კუთხით, ასევე დამატებითმა მოთხოვნებმა კაპიტალით აღჭურვილობის თვალსაზრისით, საგრძნობლად გაზარდა ბანკების დანახარჯები, რაც უარყოფითად აისახა მათ მოგებიანობაზე. გარდა ამისა, გერმანიის საფინანსო ბაზარი, სადაც 1500-ზე მეტი საფინანსო ინსტიტუტია წარმოდგენილი, საკმაოდ კონკურენტულია, რაც დამატებითი წნეხია მოგებიანობის მიღწევისა და ზრდის თვალსაზრისით. მომდევნო წლებისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა გაციფრულებაც, რასაც სოლიდური რესურსები დასჭირდება, რათა ეს პროცესი წარმატებით განვითარდეს.

თქვენ გერმანიის ფინანსურ ცენტრში მუშაობთ, ვინაიდან სწორედ ფრანკფურტშია თავმოყრილი ფინანსური ინსტიტუტების სათავო ოფისები. რა ტენდენციები გამოკვეთა გერმანიის და, ზოგადად, ვეროპის საბანკო სექტორში პანდემიამ?

არ იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ ფინანსური ინსტიტუტები, ისევე როგორც თითქმის ყველა, პანდემიის შედეგად გამოწვეული მოულოდნელი და

უპრეცედენტო სირთულეების წინაშე დადგა. საერთო ჯამში, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ გამკაცრებულმა რეგულაციებმა, ეროვნული ბანკების მიერ ჩატარებულმა რეგულარულმა „სტრეს-ტესტებმა“ და სამხრეთ ევროპაში მაკროეკონომიკური კრიზისების შედეგად ნასწავლმა გაკვეთილებმა, საფინანსო ინსტიტუტები ევროპაში ეკონომიკური შოკებისათვის კარგად მომზადებული დაახვედრა. მიუხედავად ამისა, კოვიდპანდემიის სიმძლავრე და მაგნიტუდა არის ის, რისი პროგნოზირებაც არავის შეეძლო. ძალიან მცირე იყო იმ ინდუსტრიების რიცხვი, რომლებიც საყოველთაო ლოქდაუნების შედეგად არ დაზარალებულან. განსაკუთრებით მძიმედ ის ბიზნესები დაზარალდნენ, რომელთაც კოვიდამდეც ჰქონდათ ფინანსური კრიზისი ან ლიკვიდობის პრობლემები.

გერმანიაში ბანკებმა სწრაფად მოახერხეს თავიანთი მიდგომებისა და პოლიტიკის ადაპტირება თავიანთ პორტფოლიოებზე ფოკუსირებით და არსებული კლიენტების საჭირო ფინანსებით უზრუნველყოფა შეძლეს. გერმანელი და ევროპელი პოლიტიკოსების დროული რეაგირება, რაც ეკონომიკის მხარდასაჭერად მასშტაბური ფინანსური პაკეტების უზრუნველყოფით გამოიხატებოდა, ბიზნესებს პანდემიის პერიოდში ლიკვიდობის დანაკლისის პრობლემის წარმატებით გადალახვაში მნიშვნელოვნად დაეხმარა. ახლაც კი, როდესაც კვლავ არავის შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება ეპიდემიოლოგია, ნათელია, რომ მთავრობებისა და საბანკო სექტორის ერთობლივმა და სწრაფმა ნაბიჯებმა ევროპას უფრო ცუდი სცენარი და დიდი ოდენობით გაკოტრების შემთხვევები აარიდა თავიდან.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის მეორე ეტაპზე - მას შემდეგ, რაც არსებული კლიენტების საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა მოხერხდა - კრედიტორებმა ახალი კლიენტების მოზიდვა და მხარდაჭერაც განაგრძეს. შედეგად, მიმდინარე ფინანსურ წელს ამ კუთხით ზრდის ტენდენციები უკვე შესამჩნევია.

რეგულაციებზეც მინდა გკითხოთ: ბევრი ანალიტიკოსი ამბობს, რომ გერმანიასა და ზოგადად ევროკავშირში რეგულაციები საკმაოდ მძიმეა, რაც მოქნილობას უშლის ხელს. თქვენი დაკვირვება და გამოცდილება როგორია ამ კუთხით?

დიახ, ეს მართალია. საერთაშორისო ფინანსურ კრიზისამდე წამყვან განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური სექტორის აქტიური დერეგულირება მიმდინარეობდა. 2008-10 წლების კრიზისმა ეს ტენდენცია შემოატრიალა. „დიდი ოცეულის“ ქვეყნებმა ისეთი რეფორმები წარმოადგინეს, რომლებიც ფინანსურ ბაზრებს დაარეგულირებდა იმ მიზნით, რომ ცალკეული ინსტიტუტების მდგრადობა გაეძლიერებინათ და საერთო ფინანსური სტაბილურობა გაეზარდათ. რეგულაციები მრავალ ეტაპად განხორციელდა და მოიცავდა, მაგალითად, რეფორმებს მინიმალური კაპიტალის საჭიროების, ლიკვიდობის შენარჩუნების შესახებ, ასევე მათ შორის იყო Single Resolution Mechanism-ი, რომლის მიზანიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელების დაცვაა. ამ მხრივ არც საკრედიტო ბიზნესი (Leveraged Finance) ყოფილა გამონაკლისი. 2017 წელს ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გამოაქვეყნა გაიდლაინი ბანკებისთვის, სწორედ ასეთი ტრანზაქციებისთვის, რათა შეექმნა რისკების მართვის პრაქტიკა ეკონომიკის ადეკვატური ფინანსირების უზრუნველყოფისთვის. ახალი წესების განხორციელებამ ბანკებს დიდი რესურსები დაახარჯინა, რაც მასშტაბურად აისახა მათ ფინანსებზე. როგორც მოსალოდნელია, რეგულაციების გამკაცრება მომდევნო წლებშიც გაგრძელდება და ფინანსური ინსტიტუტებისთვის ეს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დარჩება.

პანდემიამ საქართველოს საბანკო სექტორში სერვისების დიდი ნაწილის გაციფრულება გამოიწვია. როგორია ამ კუთხით გერმანიის გამოცდილება?

ბოლო რამდენიმე წელია, სერვისების გაციფრულება გერმანიის ბანკების დღის წესრიგშია, ეს პროცესი კოვიდპანდემიამდე იყო დაწყებული. თუმცა ბოლო წელიწად-ნახევარში მომხმარებლების ქცევის სწრაფმა ცვლილებამ და ციფრულ საბანკო პროდუქტებზე გაზრდილმა მოთხოვნამ ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

დღეს აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ განვითარებული ციფრული გადაწყვეტები გამართულ IT-ინფრასტრუქტურასთან ერთად, გერმანული ბანკებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება, რათა მაღალკონკურენტულ გარემოში მათ წარმატებას მიაღწიონ. პირველი დადებითი შედეგები უკვე თვალსაჩინოა, თუმცა მომდევნო წლებში კიდევ

ბევრია გასაკეთებელი.

ფინტექების რაოდენობის ზრდა ზოგადად საბანკო სექტორში კონკურენციას ზრდის. როგორია გერმანული ტრადიციული საბანკო სექტორის პასუხი?

ძალიან ზუსტი დაკვირვებაა. დიას, ფინტექები უკვე კონკურენციას უწევენ ტრადიციულ ბანკებს თითქმის მთელ ღირებულებათა ჯაჭვში. ეს იმიტომ, რომ ფინტექ-კომპანიები ძალიან სწრაფები, ინოვაციურები, მოქნილები არიან და თავიანთ ბიზნესმოდელს რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის ინოვაციისა და კომფორტის უზრუნველყოფის გათვალისწინებით აშენებენ. გარდა ამისა, ისინი მოწინავეები არიან ფინანსური სერვისების ბაზარზე გაციფრულების პროცესში. შემდგარი საფინანსო ინსტიტუტებიც აუშჯობესებენ თავიანთ ნოუ-ჰაუს ამ კუთხით. მათ ასევე შეუძლიათ, დაეყრდნონ კლიენტებთან გრძელვადიან თანამშრომლობას. ფინტექების ძლიერი მხარეების - ინოვაციურობისა და მოქნილობისა და ამავე დროს ბანკების კლიენტების მყარი ბაზის ერთობლიობა ორივეს მიმზიდველ შესაძლებლობას სთავაზობს, შეავსონ ერთმანეთი და სხვადასხვა მიმართულებით ითანამშრომლონ, რაც ორივე მხარისთვის მოგებიანი იქნება.

ტრადიციული ბანკები ფინტექებს თანდათან უფრო მეტად აღიქვამენ პოტენციურ პარტნიორებად, რათა მომხმარებლებისთვის ახალი სერვისები განავითარონ. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ფინტექები და ბანკები ერთმანეთისგან სწავლობენ და ერთმანეთს უახლოვდებიან, რაც ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია.

აკვირდებით თუ არა საქართველოს საბანკო სფეროს განვითარებას და რა პერსპექტივის დანახვა შეიძლება ქართულ საფინანსო სექტორში Leveraged Finance-ის მიმართულებით?

რა თქმა უნდა, ვაკვირდები საქართველოში საბანკო სექტორის განვითარებას და დინამიკას, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მაღალ დონეზე ვიცნობ. ჩემი აზრით, ქართულმა ბანკებმა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა და მაღალი მოგებიანობა აჩვენეს. თუმცა საქართველოს საბანკო სექტორი, როგორც ასეთი, ჩემი გადმოსახედიდან, კვლავ მცირე ზომისაა თუ მასშტაბად ქვეყნის მთლიან ეკონომიკას ავიღებთ. ბაზარზე რამდენიმე

მოთამაშე დომინანტური, გაზრდილი კონკურენცია კი ადგილობრივი კორპორაციებისა და კლიენტებისთვის დადებითი შედეგების მომტანი იქნება, რაც საბოლოოდ პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც, თუმცა ეს გრძელვადიანი პროცესია. წლები დასჭირდება იმას, რომ საბანკო სექტორის მასშტაბმა ქვეყნის ეკონომიკისთვის ოპტიმალურ მოცულობას მიაღწიოს.

რაც შეეხება leveraged finance-ის მიმართულებას, ზოგადად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონზე ევროპის LBO-ბაზრის მცირე წილი მოდის, მათ შორის იგულისხმება საქართველოც. რამდენიმე ასპექტია მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ შეიქმნას ფუნქციური, სანდო გარემო LBO-ფინანსირებისთვის. რამდენიმე მათგანს დავასახელებ, ესენია: გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობა რეგიონსა და ქვეყანაში და ასევე ის, რომ ქვეყანამ მიიზიდოს უცხოური აქტივების მმართველი კომპანიები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩარჩოს დასავლეთ ევროპის ბაზრის სტანდარტებზე მორგებაც. მეტიც, ქართული აქტივების მმართველი კომპანიების პროფესიონალიზაცია ბაზრისთვის სარგებლის მომტანი იქნება. დაბოლოს, საქართველოში არსებულმა ბიზნესებმა უნდა მიაღწიონ გარკვეულ მასშტაბს, უნდა აჩვენონ მდგრადი განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში და უნდა მოახდინონ შემოსავლების ნაკადების დივერსიფიცირება გეოგრაფიულად, სასურველია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მიღმაც.

ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები მნიშვნელოვანია ეფექტიანი Leveraged Lending-ბაზრის განვითარებისთვის, რაც, ერთი შეხედვით, საქართველოსთვის გრძელვადიანი პერსპექტივაა.

უკავშირდება თუ არა თქვენი სამომავლო გეგმები საქართველოს საფინანსო სექტორს?

სურვილის მიუხედავად, ახლო მომავალში ალბათ რთული იქნება ჩემი პროფესიული საქმიანობა საქართველოს დავუკავშირო, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში იმედს ვიტოვებ და მოხარული ვიქნები, თუ შესაძლებლობა მომეცემა, ჩემი პროფესიული გამოცდილება რომელიმე ქართულ კომპანიას მოვავსო. ეს ჩემთვის დიდი პრივილეგია იქნებოდა.

ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები რესპონდენტის პირად აზრს წარმოადგენს და არა "დოიჩე ბანკის". **F**

რისკების მართვა, როგორც პროფესია

ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული მულტინაციონალური საინვესტიციო ბანკი Bank of America პანდემიის დროს დისტანციურ რეჟიმზე გადასულ თანამშრომლებს ეტაპობრივად ოფისებში აბრუნებს. როგორც ცოტა ხნის წინ ბანკის აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა ბრაიან მონიჰანმა განაცხადა, პრიორიტეტი თავდაპირველად მიენიჭება ორივე დოზით აცრილ თანამშრომლებს. Bank of America 200 ათასზე მეტ ადამიანს ასაქმებს, მათ შორის არის ქართველი **დავით ხატიძე**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბანკის ერთ-ერთი უფროსი ვიცე-პრეზიდენტის პოზიცია დაიკავა.

ავტორი: თამთა ჰიჭავაძე



თქვენ Bank of America-ში უკვე შვიდი წელია, მუშაობთ. პროფესიით ფიზიკოსი, როგორ მოხვდით ამ ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო ბანკში?

გზა მართლაც საინტერესო იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განათლებით ფინანსებთან კავშირი არ მაქვს, ფინანსების შესწავლა დამოუკიდებლად მოგვიანებით მომიწია. განათლებით ფიზიკოსი ვარ, დავამთავრე თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი და სწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში გავაგრძელე, სადაც სადოქტორო ხარისხი მაღალი ენერჯების ფიზიკაში დავიცავი. ამის შემდეგ კიდევ ცოტა ხანს ფიზიკოსად ვიმუშავე და მერე გადავედი ფინანსებში. საფინანსო ინსტიტუტები დიდ ინტერესს იჩენენ ტექნიკური განათლების (ფიზიკოსები, მათემატიკოსები...) მქონე ხალხის მიმართ, რადგან ასეთი განათლება ანალიტიკურ აზროვნებას და ტექნიკური ამოცანების გადაჭრის უნარ-ჩვევებს ავითარებს, ეს კი თანამედროვე საფინანსო ინსტიტუტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

როგორი დამსაქმებელია Bank of America? რა არის მისი, როგორც დამსაქმებლის, მთავარი ღირებულება?

BoFA არის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ბანკი, მისი ისტორია საუკუნეებს ითვლის და მომავალშიც საუკუნეების მანძილზე აპირებს მოღვაწეობას, ამიტომაც ის ორიენტირებულია გრძელვადიან წარმატებაზე. მოკლედ რომ დავახასიათოთ, აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისთვის. ბანკის გლობალურობისა და მისი საქმიანობის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სამუშაოც ყოველთვის საინტერესოა.

თქვენ Bank of America-ში უფროსი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ახლახან დაიკავეთ. რას გულისხმობს ეს პოზიცია? რა შედის თქვენს მოვალეობაში?

მე პასუხისმგებელი ვარ ბანკის ერთ-ერთი ბიზნესის ხაზის რისკების მართვაზე. პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რომ ამ ბიზნესის ყველა საბაზრო რისკი აღრიცხული და სწორად დათვლილი იყოს.

საბანკო ბიზნესი ძალიან დინამიკურია, ყოველდღიურად უზარმაზარი მოცულობის ვაჭრობა იმართება, ფასები ყოველ წამს იცვლება. ასეთ დროს, იმისთვის, რომ დაცული ვიყოთ არასასიამოვნო სიურპრიზებისგან, რისკების მართვა უნდა იყოს უმაღლეს დონეზე - როგორც კონცეპტუალურად, ისე ტექნიკურად. სწორედ ამაზეა პასუხისმგებელი ჩვენი გუნდი.

პანდემიამ მთელ მსოფლიოში, ყველა ორგანიზაციაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. რა შედეგები

გაქვთ Bank of America-ში? რა ძირეულ გადაფასებებს ხედავთ ორგანიზაციაში?

პანდემია იყო უდიდესი შოკი როგორც ზოგადად ეკონომიკისთვის, ისე კონკრეტულად კომპანიის ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის. ეს პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ასე რომ დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

ჩვენ წელიწადზე მეტია, სახლიდან ვმუშაობთ და ალბათ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მუშაობის ეფექტიანობა ამით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა შტატებში ვაქცინაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ახლო მომავალში იმის გახსენება დავგვირდება, თუ როგორ უნდა შევიკრათ ჰალსტუხი.

ყველა სფეროში სხვადასხვა ტენდენციაზე საუბრობენ, და თითქმის ყველა სექტორი ტექნოლოგიების კიდევ უფრო სწრაფ განვითარებაზე აკეთებს აქცენტს. როგორია თქვენი მოსაზრება და მოლოდინი ამ მიმართულებით?

საფინანსო სექტორი ძალიან აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს, ამის გარეშე თანამედროვე ბანკების საქმიანობა წარმოდგენილია. საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი ტექნოლოგიაში მუშაობს, რითაც ჩვენ პირდაპირ კონკურენციაში ვართ სილიკონის ველის ტექნოლოგიურ კომპანიებთან საუკეთესო ტალანტების მოსაზიდად.

მოლოდინი, როგორც თქვენ სწორად აღნიშნეთ, არის ის, რომ ტექნოლოგიების მნიშვნელობა უფრო და უფრო გაიზრდება. უფრო ბუსტი პროგნოზის გაკეთება ძნელია. ბევრი ახალი ტექნოლოგია შემოდის და ნელ-ნელა ინერგება, მაგრამ უახლოეს წლებში ადამიანები მაინც საჭირო ვიქნებით, როგორც თანამშრომლები. ათი წლის შემდეგ თუ მკითხავთ იმავეს, შეიძლება პასუხი უკვე არც ისე ცალსახა იყოს.

თქვენს გეგმებზეც რომ მოგვიყვით, რას უკავშირდება თქვენი მიზნები? არის თუ არა ისინი საქართველოსთანაც კავშირში?

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ვადევნებ, კავშირი არ გამიწყვეტია. საქართველო უნდა შეეცადოს, რომ მოიზიდოს ისეთი ხალხი, ვისაც დისტანციურად მუშაობა შეუძლია. რამდენადაც ვხვდები, იდგმება ამისკენ ნაბიჯები, რაც ძალიან კარგია. მე თვითონ დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი და ვიმუშავებდი საქართველოში, სამწუხაროდ, ამის განხორციელების პრაქტიკული გზა ამ ეტაპზე არ ჩანს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ ახლახან დავიწყე ახალ პოზიციაზე მუშაობა და უახლოეს წლებში ამით ვიქნები დაკავებული. დანარჩენი შემდეგ გამოჩნდება. **F**

ახალი ლიბერთი

ავტორი: ელენე კვანჭილაშვილი

ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

ვასილ ხოდელი თავის გუნდთან ერთად ამბიციურ მიზანს ისახავს, რომელსაც კონკრეტული სახელი აქვს – „ახალი ლიბერთი“.

ვასილ ხოდელს პირისპირ პირველად ვხვდები. „ლიბერთი ბანკის“ სათავე ოფისში მაქვს საყდრ ინტერვიუ ჩანიშნული.

მასზე რაც ვიცი, ის არის, რომ სანამ „ლიბერთის“ გენერალური დირექტორი გახდებოდა, საბანკო სექტორში დიდი გამოცდილება დააგროვა. მოლარე-ოპერატორის პოზიციით დაიწყო და ამ სექტორისთვის ბევრ გადამწყვეტ მომენტში სწორედ იქ აღმოჩნდა, სადაც სიახლის შეტანა და რეალური განვითარების შესაძლებლობა ჩნდებოდა. ხშირად – ნუ-ლიდან. ჯერ 1998 წელს – ეს EBRD-თან ერთ-ერთი პირველი თანამშრომლობა იყო; შემდეგ – საქართველოს ბაზარზე კორპორაციული და საინვესტიციო მიმართულების დამკვიდრება; შემდეგ – ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასვლა და „საქართველოს ბანკის“ დიდი IPO.

აი, ამ ყველაფერს ვაანალიზებ, სანამ მობილურს ვაჩემებ და ჩამწერ რეჟიმზე ვაყენებ. პირველ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

განათებულ, გამჭვირვალე ოთახში ვხვდებით ერთ-მანეთს. ცოტა ცხელა, თუმცა დიდხანს არ მალოდინებს. პირბადის მიღმა ღიმილს ვხედავ, როცა მესალმება და პირველი, რასაც მეუბნება, ის არის, რომ შეგვიძლია შენობით მივმართოთ ერთმანეთს. პირბადის მიღმა მეც ღიმილს ვუბრუნებ.

და პირდაპირ ვეკითხები, 19 წლიდან ერთ სექტორში როგორ გაძლო.

თურმე, წამოსვლა უნდოდა, სექტორის შეცვლა და სწორედ მაშინ გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი ტრანსფორმაციის შანსი, კიდევ ერთი დიდი ცვლილების, დიდი სიახლისა და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის შანსი. „ასე შემოვბრუნდი ისევ სექტორისკენ“, – მეუბნება და ამატებს: „გამიმართლა. ალბათ ბევრჯერ მიმართლებდა ცხოვრებაში“.

და კიდევ ვეკითხები, ახალი „ლიბერთისთვის“ თვითონ როგორ განიახლებს ხედვებს. „გამოცდილების ანალიზი მუხმარება“, – მეუბნება და ამატებს: “წინა ხაზზე ყოფნა ბიზნესის ხედვას კიდევ სხვანაირად ხევენ. სიახლეს ადვილად აფიქსირებ და როგორც კი მის გემოს გაიგებ, უკვე თვითონ იწყებ სიახლის ძიებას. ასე აღმოვჩნდი საბანკო ბიზნესის განვითარების ეპიცენტრში“.

ისევ საწყის კითხვას ვუბრუნდები: ამდენ ხანს ერთ სექტორში როგორ გაძლო. ასე მპასუხობს: „ყველაზე მეტად ადამიანთან ურთიერთობა მანთებს. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ბიზნესში პროდუქტის მწარმოებელი და მისი მომხმარებელი ამ პროდუქტის საპირისპირო მხარეს არ დგანან; ყველა ხედვისა და სტრატეგიის ცენტრში უნდა იყოს ადამიანი – თავისი საჭიროებებით; პროდუქტი და მისი მწარმოებლები კი მის გარშემო ტრიალებდნენ. როცა ეს გავიაზრე, ყველა გადაწყვეტილება, ყველა გეგმა ლოგიკურ ჯაჭვად აენყო. ამას ვეძახი ბიზნესის სწორ ფილოსოფიას. ასეთი მიგნების გარეშე საბანკო ბიზნესის განვითარება ძვირად ღირებული წყლის ნაყვავა“.

მისთვის ამ ბანკის მთავარი კონკურენტული უპირატესობა „ლიბერთის“ გუნდია.

ვასილ ხოდელმა კარიერულ კიბეზე ყველაზე მაღალი საფეხური – გენერალური დირექტორობა – მაშინ შეითავსა, როცა მსოფლიოს თავს პანდემია დაატყდა. მისთვის ესეც საინტერესო გამოწვევაა.



გაგზავთ
მისთვის

George Games Co. LIVESTY

როგორი „ლიბერთი“ სჭირდებათ დღეს ადამიანებს?

„ლიბერთის“ ახალი მენეჯმენტი ჰყავს - ჩემი ჩათვლით. ჩვენ ფილოსოფიური საყრდენი გვაერთიანებს და ამით ვართ გამორჩეულები.

რა არის ახალი „ლიბერთის“ ახალი ფილოსოფია?

ადამიანი, თავისი ცნობიერებით, გამოცდილებით, ოცნებებით. ჩვენი ყველა საუბარი თუ მსჯელობა ამ განზომილებიდან იწყება.

ადამიანი - კომპანიის გარეთ თუ შიგნით?

შიგნით და გარეთ. ადამიანებს რაღაც გვსურს, რაღაც გვტკივა და რაღაცას ვესწრაფვით. ბიზნესის ახალი ფილოსოფია დრომოჭმულისგან ძალიან განსხვავდება. ჩვენ მხოლოდ მატერიალურ ფაქტორზე არ დავიყვანებით და მართვაც აღარ არის პირწმინდად იერარქიული. ადამიანებს თავიანთი ინდივიდუალიზმი და ღირებულებები აქვთ, რომლებსაც თუ მოისმენ ან ამოიცნობ, შემდეგ კი საერთო ხედვის გარშემო გაერთიანებ, ისეთი პროცესი დაიძვრება, რომლის გაჩერება შეუძლებელია. მეც სწორედ ასეთად წარმომიდგენია „ლიბერთის“ განვითარება.

იერარქიასთან დაკავშირებული აზრი საინტერესო იყო, განვარცხთ - დრომ მოჭამა იერარქიული მიდგომა?

იერარქია ყოველთვის არსებობდა და რაღაც დოზით ისევე იარსებებს, თუმცა ის სტრუქტურები თუ გუნდები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ, შეძლებისდაგვარად უნდა გრძნობდნენ, რომ არიან დამოუკიდებლები, რომ უფრო მეტი თავისუფლება აქვთ და მათი წვლილი მიზნის მიღწევაში უმნიშვნელოვანესია. ადამიანმა თუ დაასკვნა, რომ ის დამოუკიდებელია, თავისუფალი და თვითონაც ქმნის - ეს მისი ბედნიერების საფუძველი გახდება.

როგორ ითარგმნება ეს ფილოსოფია სტრატეგიაში? კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ ამ ტიპის ბედნიერება მიიღოს, როგორც „ლიბერთისთან“ ასოცირების მთავარი შედეგი? - როგორც მივხვდი, აქამდე მივედი.

ახლა რასაც ვრტყვი, „ლიბერთისგან“ გაუღერებულ სიახლეს არ წარმოადგენს; ეს ბანალური და

კარგად გამოცდილი სიმართლეა: ყველა მოწინავე ბიზნესი მთავარ აქცენტს პროდუქტიდან მომხმარებელზე გადაანაცვლებს. ამას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ კარგად უნდა იცნობდე შენს მომხმარებელს; იცოდე, რა ამოდრავებთ ამ ადამიანებს - და ეს ადამიანები, როგორც აღვნიშნე, არიან „ლიბერთის“ ოჯახის წევრები, და ასევე ის ადამიანებიც, რომლებიც ჩვენი სერვისებით სარგებლობენ. მთავარია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც იღებ, აუცილებლად დააფუძნო კითხვას - სწორედ ეს სჭირდებათ ადამიანებს? ამ საჭიროებებს სულ უნდა იკვლევდე. აი, ეს მიდგომა თუ ხდება პროცესისა და ფიქრის ნაწილი, უფრო სარგებლიან პროდუქტებს და სერვისებს ქმნი, ვიდრე მხოლოდ საკუთარი აზრის გათვალისწინებით შექმნიდი.

შესაძლებლობები, რაც ამ მიდგომას მოაქვს ბანკისთვის, გასაგებია - უკეთესი, უფრო მიზნობრივი პროდუქტები და სერვისები - გამოწვევები სად იმალება?

ყველაზე დიდი გამოწვევაა კორპორაციული კულტურის ცვლილება. სწორედ ახლა ამ საკითხის სერიოზულ ანალიზს ვაკეთებთ. პირველ რიგში ვცვლით მიდგომასა და დამოკიდებულებებს. ნებისმიერი ცვლილება, ყველაზე მოსაწონივ კი, მაინც კვებავს გარკვეულ დისკომფორტს. მთავარი გამოწვევა სწორედ ისაა, რომ ცვლილება ისე მოხდეს, რომ ადამიანებისთვის და, ჯამში, კომპანიისთვის ნაკლებად სტრესული გამოდგეს. გვესმის, რომ ახალმა გუნდმა ისე უნდა წარგმართო პროცესი, რომ ამ ცვლილებების მიმართ ინტერესი და მიმღებლობა გაგზარდოთ, ცვლილების პროცესი კი ეფექტიანი გავხადოთ.

და რა არის აქ მთავარი იარაღი - კომუნიკაცია?

ნამდვილად. მეტი გახსნილობა, მეტი გამჭვირვალობა და ხშირი კომუნიკაცია. პირადად ჩემი დროის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ ამაზე იხარჯება. სამწუხაროდ, პანდემიამ განვითარების დასახული ტემპი შეანელა, მაგრამ მას ჩვენი მოძრაობის კურსი არ შეუცვლია. მიზნის მიღწევისთვის შეიძლება ოდნავ მეტი დრო დაგვჭირდეს, მაგრამ მას აუცილებლად მივაღწევთ.

რადგან ეს პროცესი გახსნილი და კრეატიულია, შესაბამისად - ჩემი კარი ყოველთვის ღიაა - და



დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: რატი კერესელიძე, თორნიკე ბენიძე, ვასილ ხოდელი, ვაჟა მენაბდე, თეკო ლეშკაშელი, რატი მეხრიშვილი
სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: დავით აბაშიძე, ლევან საშუშია, ანა ნიკოლაძე, თამარ მეგრელიშვილი, ვატო ბაბუნაშვილი

ამას ხატოვნად არ ვამბობ – ნებისმიერი პოზიციის ადამიანი იცის, რომ მას შეუძლია, შემოვიდეს და იდეა გამიზიაროს. მის თანამდებობას მნიშვნელობა არა აქვს. ყველას იდეა ძვირფასია.

დიდი ტრანსფორმაცია ელოდება „ლიბერთის“ – მათ შორის, იმ იერარქიული მიდგომის საპირწონეც, რაც თქვენ ახსენეთ, ასე არ არის?

დიახ, ასეა. დავიწყეთ ტრანსფორმაციის პროექტი, რომელიც ჩვენი მთავარი სტრატეგიული მიზნის განხორციელებას უზრუნველყოფს; ეს კი – ადამიანების კმაყოფილების ამალგებაა. ჩვენ აგრეთვე შევუდექით ე.წ. ეჯაილ მოდელის სხვადასხვა მიმართულებაში ადაპტაციას. მიგვაჩნია, რომ ეს

გაცვხდის უფრო მოქნილს, უფრო სწრაფს გადაწყვეტილების მიღებაში და იმ სერვისების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაში, რომლებიც „ლიბერთის“ პროდუქტებისა და სერვისების მიმღებ ადამიანებს სჭირდებათ.

როგორ ფიქრობთ, საიდან მოვიდა ეს, მოდი, ასე ვთქვათ, ახალი მოთხოვნილება გუნდური, უფრო ჰორიზონტალური მუშაობის, სისტემებით მართვის – რამ მოიტანა ეს ყველაფერი?

რაც დრო გადის და თაობები იცვლება, ახალგაზრდა თაობისთვის მოსაწყენი, ერთფეროვანი სამუშაო ნაკლებად მიმზიდველია. „ლიბერთის“ გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდები არიან.

ჩვენთან საშუალო ასაკი 30-35 წლის ფარგლებში მერყეობს და ბევრი ძალიან ახალგაზრდა ადამიანი მუშაობს ჩვენთან. რამდენადაც მიმზიდველი არ უნდა იყოს სამუშაო ადგილი, თუკი მასში მოღვაწეობა მოსაწყენია, ახალგაზრდები შესაძლოა არც კი დაინტერესდნენ. ჩვენს შემთხვევაში, შემოქმედებითობისა და ნოვატორობის შესაძლებლობაა ის მთავარი მიმზიდველი ფაქტორები, რის გამოც ახალგაზრდები სამუშაო ადგილად გვირჩევენ. ბიზნესი, რომელშიც სამსახურებრივი პროცესები თავისუფლებისა და კრეატიულობის გათვალისწინებით იწერება, ადამიანებისთვის უფრო საინტერესოა. საბანკო სექტორი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

გამოდის, რომ ამ ტრანსფორმაციას გადის არა მხოლოდ „ლიბერთი“, მთელი საბანკო სექტორი და ეს სრულად თანხვედნილია გლობალურ ტრენდთან - სწორად გავიგე?

დიახ. აქამდე საბანკო სექტორი მონოლითური, იერარქიული სტრუქტურა იყო. ამ თვისებებს ის დღესაც ინარჩუნებს, ნაწილობრივ. თუმცა, თუ მოხერხდა, რომ უფრო მეტი გასაქანი მიეცა შემოქმედებასა და სიახლის ძიებას, ეს სამუშაო პროცესს სახალისოს და კიდევ უფრო მეტად ეფექტიანს გახდის.

რადგან გლობალურ ტრენდებს შევხებით, კიდევ ერთ ასეთ საინტერესო ტრენდად მიმაჩნია მომხმარებლის ცნების და, შესაბამისად, კონკურენციის გაფართოებაც. როგორ არის თქვენს შემთხვევაში, როცა გარკვეული პროდუქტისა და სერვისის დახვეწას აპირებთ, ითვალისწინებთ მხოლოდ იმ გამოცდილებას, რაც საბანკო სექტორშია დაგროვილი, თუ, ვთქვათ, იმავე რიტეილ-სექტორშიც, სადაც მომხმარებელი მნიშვნელოვანია?

მე სულ ვცდილობ, გადაწყვეტილების მიღებისას მაგიდასთან ისხდეს ისეთი ხალხი, რომელსაც განსხვავებული აზროვნების სტილი, განსხვავებული განათლება და გამოცდილება აქვს. ეს ის სინთეზია, რომლის წყალობითაც ჩვენ სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები და სწორედ ამის შედეგი იყო, მაგალითისთვის, ჩვენს დირექტორატში ჰოსპიტალითი სფეროდან თანამშრომლის აყვანა - რითაც ძალიან ვამაყობთ. ექსპერიმენტის შედეგი კი ასეთია: მომსახურე-

ბის ბიზნესში არსებულ მოწინავე ცოდნას ვიძენთ და საუკეთესო პრაქტიკას ვამკვიდრებთ. არაორდინარული და თამამი გადაწყვეტილებები - სხვა ბიზნესებში დაგროვილი ცოდნის მოძიება და მისი ბანკზე ადაპტირება; ასე ვუყურებთ ჩვენ კონკურენტულობას.

დღეს რა არის „ლიბერთის“ მთავარი კონკურენტული უპირატესობა და რა არის ამხელა სტრატეგიული ცვლილების მთავარი მიზანი?

„ლიბერთის“ მთავარი კონკურენტული უპირატესობა არის მისი გუნდი - ის ადამიანები, ვისზეც ვამბობდი, რომ უკეთ უნდა გვესმოდეს, რა ანთებით მათ, რა ამოძრავებთ მათ, რა სჭირდებათ მათ. ეს არის ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა. ეს არის კრეატიული, ჭკვიანი, შედეგებზე ორიენტირებული ხალხი. ამის შემდეგ, ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვნად განახლებული ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურაში ვკულისხმობ ჩვენს ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელზეც ჩვენი ბანკი - და არა მხოლოდ, ზოგადად, საბანკო სისტემა - დგას. 2017 წლის ბოლოდან მოყოლებული, ჩვენი ძირითადი სისტემები სრულად განახლდა. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვფლობთ ყველაზე ფართო ქსელს, ასევე ბანკის შიდა ძალებით შეიქმნა აბსოლუტურად ახალი ელექტრონული არხები - კერძოდ, ახალი მობაილ- და ინტერნეტბანკის პლატფორმები, რომლებიც „ლიბერთის“ შიგნით, ჩვენივე გუნდის მიერ არის შექმნილი. ეს უმაღლესი ხარისხის პროდუქტებია. აგრეთვე, უნდა აღვნიშნო მრავალფეროვანი, განახლებული სერვისცენტრები, რომელთა საშუალებითაც გვექნება შეხება ჩვენი სივრცით მოსარგებლე ადამიანებთან.

პანდემია თავისთავად აღმოჩნდა მსოფლიოს და არა მხოლოდ ამ ქვეყნის ტრანსფორმაციის მამოძრავებელი - ფაქტია, რთული იქნება, ყველაფერი ისე დაბრუნდეს, როგორც კოვიდ-19-მდე იყო. თქვენზე რა გავლენა იქონია პანდემიამ?

რთული წელი იყო. არა მხოლოდ „ლიბერთისთვის“, ზოგადად საბანკო სექტორისთვის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკისთვის, მაგრამ ამას ჰქონდა თავისი დადებითი მხარეც. თუ დისკომფორტი არ შეგექმნება, შეიძლება ერთ ადგილზე დარჩე - ეს ეხება ადამიანსაც, კომპანიასაც და ქვეყანასაც - იფიქრო, რომ სადაც ხარ, იქ კარგია. პანდემიამ ჩვენში ის გამოიწვია, რომ „ლიბერთის“

„ყველაზე დიდი გამოწვევა - კორპორაციული კულტურის ცვლილებაა. სწორედ ახლა ამ საკითხის სერიოზულ ანალიზს ვაკეთებთ“.

„ყაზარმულ“ რეჟიმზე გადასვლა მოუწია. ბევრი პროცესის გადალაგება მოგვიხდა, თანაც - საკმაოდ მოკლე ვადაში და ამან ბევრი საინტერესო შესაძლებლობაც გამოაჩინა. ადრე რაზეც ნაფიქრი არ გვქონდა, საჭიროებამ მოითხოვა, რომ განგვეხილა და გადაგვეკეთებინა. უხეშად რომ ვთქვათ, ბევრ ნაწილში „ფოკუსები გავასწორეთ“. მეორე დადებითი ცვლილება, რაც კოვიდკრიზისის მოწყვა არის ის, რომ ჩვენი მომხმარებლები უფრო მეტად ციფრულ არხებზე ორიენტირებული გახდნენ, ამ პროცესში კი აქტიურად იყო ჩართული „ლიბერთის“ ყველა თანამშრომელი და სწორედ მათი მხარდაჭერით განხორციელდა ყოველივე. ამ ფაქტმა ასევე მრავალი ახალი შესაძლებლობა გააჩინა.

ანუ არსებობს ქვეყნები, რომლებიც მას შემდეგაც დარჩება, რაც პანდემია გადაივლის, არა?

ამ ეტაპზე კონკრეტულად არავინ იცის, პანდემია როდის გადაივლის. მე ამას უკვე როგორც მოცემულობას, ისე აღვიქვამ. მიჩნევიან, ასე ვიფიქრო, რადგან ყოველდღე რომ მის დასრულებას ველოდოთ, ალბათ, ბოლოს საღი აზრი გვიმტყუნებს. ამიტომ პანდემიას ვარქმევ მოცემულობას და ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ქვეყნებს, რომელიც „ლიბერთის“ ოჯახის ადამიანებისთვის უკვე ნორმად იქცა, მეც ნორმად აღვიქვამ. იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც ჩვენი სერვისებით სარგებლობენ, ეს მოცემულობა ასევე ნორმა ხდება. ცივილიზაციას წინააღმდეგობისა და სირთულის გადალახვის პროცესი ქმნის. ამიტომ, ისეთი არასასურველი მოვლენაც კი, როგორც კოვიდია, შეიძლება, საბოლოო ჯამში ჩვენი განმავითარებელი აღმოჩნდეს.

უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ატყობთ ამ ცვლილებას? ისინი თქვენნი მომხმარებლების უდიდეს ნაწილს შეადგენენ.

„ლიბერთი“ დაახლოებით 1.6 მილიონ მომხმარებელს ემსახურება, მათ შორის უფროსი თაობის

მომხმარებლებსაც. ყველა ჩვენს მომხმარებელში შეიმჩნევა ციფრულ არხებზე გადაწყობის სურვილი. ჩვენ არც გვევონა, ისე სწრაფად ხდება ქვევის ცვლილება ადამიანებში და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

1.6 მილიონი მომხმარებელი და როგორია „ლიბერთის“ მომხმარებელი, როგორი პორტრეტი დაიხატება?

„ლიბერთის“ მომხმარებელი არის ადამიანი - ისეთივე, როგორც სხვანაირი თქვენ და მე. ადამიანები თავიანთი ოცნებებით, სურვილებით და მათ სჭირდებათ მარტივი, სწრაფი და გამართული სერვისი, და გასაგებ ენაზე კომუნიკაცია. აი, ეს არის ჩვენი მომხმარებელი - რომელსაც სჭირდება მეტი კომუნიკაცია და რაც მთავარია - მეტი ზრუნვა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებს თუ გადავხედავთ, პრაქტიკულად, ერთსა და იმავეს ამბობენ, რომ საქართველოში საფინანსო სექტორი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკა. როგორი ტრენდია ეს და შესაძლებლობა უფროა, თუ გამოწვევა?

საქართველოს დღევანდელი სურათი, სამწუხაროდ, არის ის, რომ ჩვენ განვითარებადი, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა ვართ. სასურველია, რომ ეს ასე არ იყოს და იდეალურია, რომ ერთი ტემპით ვითარდებოდეს საბანკო სექტორიც და ეკონომიკაც, მაგრამ იმისთვის, რომ ეკონომიკის ზრდა დაეწიოს საბანკო სექტორის ზრდას, პირველ რიგში, საჭიროა, რომ ბიზნესმა შექმნას გარკვეული კონკურენტული პროდუქცია და მომსახურება, რომელიც შემდეგ შეიძლება გავიდეს ექსპორტზეც. ამას სჭირდება პროფესიონალი კადრები, სწორი, წამახალისებელი კანონმდებლობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს საკითხი მთლიანად ქვეყნის გადასაჭრელია. საბანკო სექტორის ზრდა დღეს რომ არ ასწრებდეს ეკონომი-



კის ზრდას, მაშინ ეკონომიკა კიდევ უფრო მცირე იქნებოდა. ამიტომ ამ საკითხს ასე ვუყურებ - ვისაც ზრდის შესაძლებლობა აქვს, გაიზარდოს და ვინც წინ მიიწევს, მერე ლოკომოტივის როლი შეითავსოს და დაძრას ის ნაწილიც, რომელიც ჩამორჩება ხოლმე ზრდის ტემპში.

თუმცა, ეს ურთიერთკავშირიც ხომ არსებობს - რაც უფრო მაღალია და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, მით უფრო მეტად აისახება ეს თითოეული იმ ადამიანის კეთილდღეობაზე, ვინც შემდეგ თქვენგან პროდუქტს ან სერვისს ყიდულობს - ასე არ არის?

რა თქმა უნდა, ადამიანების კეთილდღეობა აისახება ბანკების კეთილდღეობაზე. შარშან, მაგალითად, დღევანდელი რეალობით გამოწვეულ ბანკების პრობლემებს ბევრი მხარე გაგებით მოეკიდა, მათ შორის - მარეგულირებელი, მთავრობის მხრიდანაც იყო გარკვეული ხელშეწყობა იმისთვის, რომ ეს რთული პერიოდი ისე გადაგვევლო, რომ სწორედ ადამიანებისთვის ყოფილიყო ნაკლებად მტკივნეული ამ პროცესის გადავლა და სწორედ მათთვის არ გაუარესებულყო პირობები - მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საბანკო სერვისებით მოსარგებლე ადამიანების მნიშვნელოვანი და არა მცირე ნაწილის რისკიანობა გაიზარდა.

პანდემიას, სესხების გადავადებებსა და რესტრუქტურირებებს გულისხმობთ...

დიახ. საბანკო სექტორი თავად გამოვიდა ინიციატივით და შევძელით ამ ინიციატივის მნიშვნელობის მიტანა როგორც მთავრობასთან, ისე მარეგულირებელთან - საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

ბევრი შეფასება ისმის, მათ შორის, ფიჩხის, მუდისის, რომ საბანკო სექტორი მზად შეხვდა ამ კრიზისს - ასეა?

დიახ, ასეა. თუმცა ამაზე მეტად მომზადებული უნდა შეხვედროდა და თადარიგი უფრო მეტად უნდა დაგვეჭირა თუ უფრო ნაკლებად - ამის განსჯა დღეს ცოტა რთულია. ფაქტი ერთია, რომ სექტორი ამ პანდემიას ნამდვილად მომზადებული შეხვდა და შემდეგაც, ის პროცესი, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, ეფექტიანად წარიმართა.

ახალი გუნდი რამდენჯერმე ახსენეთ. რო-

გორ მართავთ ამ გუნდს?

„ლიბერთი“ არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი ამ ქვეყანაში. ჩვენთან 5 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. მე ვემხრობი ისეთ მიდგომას, რომელიც ადამიანის ნიჭისა და უნარების გამოვლენაზეა ორიენტირებული - ასე დავარქმევდი. არ უნდა არსებობდეს ისეთი ტაბუდადებული თემები, რომლებიც შეიძლება ბანკში იხილებოდეს. ყველაფერი უნდა იყოს ღია და ამისთვის უნდა შევქმნათ დაცულობის შეგრძნება, რომ ადამიანებს ჰქონდეთ თავისუფლად საუბრისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. მოკლედ, ადამიანის თავისუფლებას ძალიან დიდ პატივს ვცემ და, შესაბამისად, აზრის გამოთქმის თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება - ჩემთვის მთავარი ღირებულებებია და აი, ამ ღერძის გარშემო ვცდილობ ხოლმე პროცესების მართვას. „ლიბერთის“ ოჯახის წევრებს კი მადლობა მინდა გადავუხადო გულწრფელობისთვის, მხარდაჭერისთვის და კომპანიის ღირებულებების გაზიარებისთვის.

ბაზარზე? ბაზარზე მეტი თავისუფლება თუ მეტი რეგულირება?

მე მეტი თავისუფლების მომხრე ვარ. კონკურენციის მომხრე ვარ და ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარემო კონკურენტული უნდა იყოს. ამ ყველაფერთან ერთად კი, კანონის უზენაესობა უნდა იყოს დაცული, იმიტომ რომ ეს არის ის ბალანსი, რომელიც სამართლიანი თამაშის წესებს უზრუნველყოფს.

საპენსიო ნაწილში როგორი წესებია და აქაც კონკურენციის მომხრე ხართ?

დიახ, კონკურენციის მომხრე ვარ ყოველთვის და ყველა სემენტიში. კონკრეტულად ამ ნაწილშიც, რაზეც მეკითხებით, აქაც - კონკურენცია დღესაც არსებობს. არაერთხელ მისაუბრია ამ თემებზე, მათ შორის, პარლამენტში, მათ შორის, პრეზენტაციებით, კონფერენციებზე. ვამბობ, რომ თუ ჩვენ ვართ იმ ქვეყანაში, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს და ვაღიარებთ ისეთ ცნებას, როგორიცაა საბაზრო ფასი, მაშინ სწორედ ამას უნდა ვცუთ პატივი.

მაგრამ, როცა კაპიტალის ბაზარი პრაქტიკულად არ არსებობს ამ ქვეყანაში - საიდან ვიცით, რა არის საბაზრო ფასი?

ამის გადამოწმება დღეს ძალიან მარტივია.

გვყავს მარეგულირებელი, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია იმისთვის, რომ საბანკო სექტორის შესახებ ინფორმაცია ძალიან გამჭვირვალეა და მარტივად შეიძლება იმის ნახვა, თუ რას ნიშნავს საბაზრო ფასი - სხვადასხვა პროდუქტის შემთხვევაში რა არის საშუალო ფასი. ასე რომ, კიდევ ერთხელ, კონკურენციას ვემხრობი. არ ვემხრობი თემის პოლიტიზებას, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, როდესაც ამან შეიძლება გარკვეული ნეგატიური გავლენა იქონიოს კერძო სექტორზე და კონკრეტულად საბანკო სექტორზე, რომელიც დღეს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა.

აქ პრობლემა ისიც მგონია, რაც ცოტა ხნის წინაც ვახსენეთ, რომ ადამიანების შემოსავლები ძალიან ნელა იზრდება ამ ქვეყანაში. განსაკუთრებით - უფროსი ასაკის ადამიანების შემთხვევაში. თქვენი სტრატეგია როგორ უზრუნველყოფს იმას, რომ კმაყოფილება ყველა სეგმენტში გაიზარდოს?

ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველასთვის ერთიანად გაიზარდოს. ჩვენ არ ვახსენებთ ჩვენს მომხმარებელს ასაკის მიხედვით, თუმცა კომუნიკაციის კუთხით, მათ საჭიროებებზე მორგების თვალსაზრისით გვექნება ინდივიდუალური მიდგომა. კმაყოფილების გაზომვაზე როცა ვსაუბრობ, ეს აბსოლუტურად ყველა სეგმენტს ეხება და შეიძლება პირველ რიგშიც კი იმ მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელიც დღეს ჩვენი სერვისებით სარგებლობს და ისინი უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან.

კაპიტალის ბაზარს კონკურენტად აღიქვამთ?

არა. არა - იმიტომ, რომ ზოგადად კაპიტალის და კრედიტის ბაზრები ერთმანეთის შემავსებელი სექტორებია და არა კონკურენტული. რაც უფრო მეტი კაპიტალი აქვს ბიზნესს, მით უფრო მეტი სესხის გაცემა შეიძლება ამ კომპანიაზე ნაკლები რისკით. ამიტომ რაც უფრო ეფექტიანი და განვითარებული არის კაპიტალის ბაზარი ქვეყანაში, მით უფრო მდგრადი განვითარების პოტენციალი აქვს საბანკო სექტორს. სამწუხაროდ, საქართველოში კაპიტალის ბაზრის აქტივობა ძალიან დაბალია. მხოლოდ რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ შეძლო კაპიტალის მოზიდვა, ისიც უცხოური, დიდი საფონდო ბირჟების საშუალებით. საქართველოში კაპიტალის ბაზრების განვითარებას მრავალი გამოწვევის გადალახვა სჭირდება, როგორცაა

პოტენციური ინვესტორების ცნობიერების გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმის დახვეწა, საჯარო რეპორტების გამჭვირვალობის გაზრდა და ა.შ.

კაპიტალის ბაზარი ხელმისაწვდომობას უფრო იაფ ფულზე ზრდის?

კაპიტალი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სესხი. მარტივი ლოგიკაა - სესხს არავინ მოგცემს, თუ ბიზნესში საკუთარი ფული ჩადებულ იქნება. თუმცა, როცა ვაღიარებთ გასტუმრების დრო დგება, ჯერ კრედიტი იფარება და შემდეგ - კაპიტალი. ამდენად, კაპიტალი უფრო რისკიანია. შესაბამისად, უფრო ძვირიც ღირს. ლარში ჩადებული კაპიტალი ამ ქვეყანაში მინიმუმ 17-20% უნდა ღირდეს. ამიტომ კაპიტალი იაფი ინსტრუმენტი არ არის.

ლარის გაუფასურება ფინანსურად მოგებიანია ბანკებისთვის?

საბანკო სექტორისთვის, ისევე როგორც მთელი ეკონომიკური გარემოსთვის, გაცილებით ხელსაყრელია სტაბილური კურსი.

საქართველოში მთლიანი საკრედიტო პორტფელის 55%-ზე მეტი უცხოურ ვალუტაშია გაცემული. ლარის გაუფასურების შედეგად პორტფელის ეს ნაწილი მოცულობაში პროპორციულად იზრდება, თუმცა კლიენტებისთვის უფრო რთული ხდება ყოველთვიური შენატანის გაკეთება, თუ მათ შემოსავალი ადგილობრივ ვალუტაში აქვთ. ამის შედეგად იზრდება ვადაგადაცხილებული სესხების ნაწილი და, შესაბამისად, სესხების რეზერვის ხარჯი ბანკისთვის, რაც ამცირებს კაპიტალს და მომავალი ზრდის პოტენციალს.

თვითონ ბიზნესის წარმოების პროცნობირებადობის თვალსაზრისით ეს პრობლემაა?

ამ კუთხით ლარის სტაბილურობა მნიშვნელოვანია. საინვესტიციო კლიმატს სჭირდება მეტ-ნაკლები სტაბილურობა ამ ნაწილში. ინვესტორები, რომლებიც აქ მოდიან, ლარს ენდობიან, ამიტომ მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რა შეიძლება მოუვიდეს ადგილობრივ ვალუტას.

თუმცა, ლარის სტაბილურობა კონკრეტულად არავის მანდატი არ არის - ინვესტორი პასუხს ვერავის მოსთხოვს...

მთლიანად ქვეყნის მანდატია. სებ-ი თავის როლს ასრულებს, მთავრობა - თავის როლს. გავიმეორებ: პროცნობირებადობა მნიშვნელოვანია მათთვის,

ვინც საქართველოში ფულს დებს და ღარს ენდობა. მოკლე ვადაში რყევა პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია, რომ ეს პანიკაში არ გადაიზარდოს.

მოლოდინებს გულისხმობთ?

დიახ, ზუსტად. ეს უნდა იყოს სწორად მართული. ინვესტორებსაც და ბიზნესსაც უნდა ჰქონდეთ ადეკვატური მოლოდინების ფორმირების შესაძლებლობა. ეს არის პროგნოზირებადობის მთავარი საფუძველი.

თქვენ რა მოლოდინებს უქმნით საკუთარ თავს - აი, მაგალითად, სტრატეგიული დოკუმენტი თუ გაქვთ? ხშირად გვესმის, რომ ამ სექტორში განსაკუთრებით საჭიროა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების დოკუმენტური ასახვა. პროგნოზირებადობის სირთულეებზე ვისაუბრეთ და მართლა ასეა? და რამდენად ცოცხალია მაშინ ეს დოკუმენტი?

„ლიბერთის“ აქვს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სწორედ ამ გეგმის ნაწილია ის, რომ ჩვენ ადამიანების საჭიროებებზე მორგებულ ბიზნესს უნდა ვაკეთებდეთ და არა - პროდუქტებზე. ჩვენ ვართ ადამიანების ბანკი, მათი ოჯახებისა და მათი ბიზნესების მომსახურე ფინანსური ინსტიტუტი. ანუ ჩვენი სეგმენტი არის ადამიანები და მცირე და საშუალო ბიზნესი. ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ტოპ სამ არჩევანში, მყარი პოზიციებით. ჩვენი მიზანია, გავუადვილოთ ცხოვრება ადამიანებს და მათ ბიზნესებს.

აი, მე, როგორც მომხმარებელი რომ მოვალ „ლიბერთიში“, რაში აისახება ის, რომ თქვენ მე გამიადვილებთ ცხოვრებას?

როცა ვთქვი, რომ რა ამოდრავებით ადამიანებს, ეს უნდა გვესმოდეს, ამას ვამბობ კონკრეტული გეგმის საფუძველზე - კერძოდ, „ლიბერთიში“ აკუმულირებულია საკმაოდ დიდი განძი, რომელსაც ჰქვია ინფორმაცია. ამ ინფორმაციას სჭირდება სწორი დამუშავება და აქ, „ლიბერთიში“ არის საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომელმაც შექმნა ციფრული არხები და პლატფორმები, ასევე - სპეციალური სისტემები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ ინფორმაციის სწრაფი და მარტივი დამუშავება. ამ პროცესის შედეგად ჩვენ უკეთ გავიგებთ ადამიანების სურვილებსა და საჭიროებებს და სწორედ მათ საჭიროებებზე მორგებულ შეთავაზებებს გავაკეთებთ. ჩვენი სერვისით მოსარგებლე ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ მათი მართლა გვესმის.

მეჩვენება, თუ სიტყვა მომხმარებელს გაურბინხართ? არ მოგწონთ?

ადამიანი მირჩევნია. ბევრს ვფიქრობ ამ მიმართულებით. მალე ბოლომდე ჩამოვყალიბდები ამ ტერმინებთან მიმართებით და თქვენც აუცილებლად გაგიზიარებთ.

საათში მმთბი, ვსაუბრობთ. ინტერვიუს ვასრულებ.

ხელს ვართმევთ და ვთანხმდებით, რომ როგორც კი ახალი „ლიბერთი“ ფეხს აიდგამს, „ფორბს ჯორჯიას“ ფურცლებზე მომხმარებლის კმაყოფილებასაც შევაჯამებთ და იმაზეც ვიმსჯელებთ, უკვე ამ მიმართულებით რა ტერმინს დაამკვიდრებს „ლიბერთი“. ფაქტია, პენსიონერი უფროსი ასაკის ადამიანი უკვე ჩაანაცვლა. რაც, ჩემი აზრით, ერთი სიგნალია, რომ ახალი „ლიბერთის“ ფილოსოფია ძველისას აჯობებს. **5**

„მე სულ ვცდილობ, გადაწყვეტილების მიღებისას მაგიდასთან ისხდეს ისეთი ხალხი, რომელსაც განსხვავებული აზროვნების სტილი, განსხვავებული განათლება და გამოცდილება აქვს. ეს ის სინთეზია, რომლის წყალობითაც ჩვენ სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ“.

ბანკები ტფილისში, როგორც სოკო წვიმის შემდეგ

„ჩვენი ქალაქი თან-და-თან ამერიკულ ქალაქს ემსგავსება! მგონი დღე არ გაივლის ისე, რომ ან ერთი ახალი ბანკი, ან რომელიმე კომისიონერის, ვექსილის, თუ ფულის სასესხებელი კანტორა და სხვა ამ გვარები არ გაჩნდეს. ერთის სიტყვით, ისე იბადებიან ამ გვარი სხვა-და-სხვა სავაჭრო და საწარმოვო კანტორები, ბიუროები, როგორც სოკო წვიმის შემდეგ. და ყველა ამ კანტორებს რომ ჰკითხოთ, მარტო და მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ, გაჭირებულ ხალხის ხელის-მოსამართავად იმართებიან, სხვა არავითარის მიზნით. ყველას საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილება, ღარიბთა შეწევნა, ქვეყნის წარმოებისა და კეთილდღეობის წარმატება აქვთ მხედველობაში, სხვა არაფერი!“

ავტორი: გიორგი ჭიჭიშვილი



გაზეთი „ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება, 1904 წ.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული პრესის კვლევისას, სხვა საკითხების კვალდაკვალ, ბანკების თემას სხვადასხვა კონტექსტში არცთუ იშვიათად ახსენებენ.

ზოგადად, პრესაში არა მხოლოდ ამ ინსტიტუციის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ იმ კონკრეტულ მოვლენებზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში იყო აქტუალური.

ერთი-ერთი ასეთი „მარადმწვანე“ თემა თავადაზნაურობის ნაწილის მიერ უძრავი ქონების ბანკში დაგირავება იყო, რამაც თურმე „დაღუპა კნიაზები, ააღებინა ხელი მამულ-დედულზე, გააკოტრა და ბანკის მონათ გახადა დიდი „იმენის“ პატრონები“.

ამ თემას ვიზუალურად კარგად ასახავს იმდროინდელ პერიოდიკაში გამოქვეყნებული კარიკატურებიც.

საბანკო სფეროს გარშემო არსებულ საკითხებს ეძღვნება გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი რედაქტორის სვეტიც, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს. საკითხის შესახებ მსჯელობის აუცილებლობა იმას უნდა გამოეწვია, რომ „არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოლაშქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედ არამც თუ ჩვენი დაბალის-ღობის პუბლიცისტები, არამედ მოლექსენიც კი და მათ შორის სახელგანთქმულნიც – არ ერიდებიან ბანკების ავად-ხსენებას და სახელის გატეხასა. რისთვის და რადა? სწორედ მოგახსენოთ, ბევრჯელ დაგვირგებია ერთ ამისთანა ამბავს და ვერ წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიპოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამჯდარსა და ნაფიქრს მსჯელობას ეშუაბამება“.

აქვე უცვლელად გთავაზობთ ზემოხსენებულ სვეტს:

„ჩვენ გუშინდელს ნომერში ვსთქვით, რომ თითქმის არც ერთს წუნის მდებელს მწერალსა და მოლექსეს არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსა. მარტო ეს კი ვიცით: ყველანი იმახიან ბანკები ჩვენა გვლუბავსო და ამ კილოზედ ათას ნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითა. რა საგანი უნდა აძლევდეს ამის მოქმელს საბუთსა?“

საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ უჯერო და შეუწყნარებელი და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა ვეძიოთ იგი საგანი. ამ შემთხვევაში ჩვენნი მწერალნი და მოლექსენი ამ მითქმა-მოთქმის ხმას აჰყვნიან უსათუოდ, თორემ თავისას გამოაცხადებდნენ რასმეს.

საზოგადოებაში ზოგი იმახის, რომ ბანკებმა ფულის სესხად შოვნის სახსარი გაგვიადვილო და ამით მაცდურების კარი გაგვიღო. ბანკები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვალებს არ ავიღებდითო და მაშასადამე ჩვენნი მამულები ყოველის განსაზღვრისაგან თავდახსნილი იქნებოდაო და ჩვენც

უვალონიო.

თუ ამისი მოქმელი მართალის გულითა სდებენ ამით წუნს ჩვენს ბანკებს, ამისი წამალი ადვილია: ბანკის კრებამ დაადგინოს, რომ თავად-აზნაურსა და ერთობ ქართველსა, რომელსაც ადვილად საშოვარი სესხი აცდუნებს, აეკრძალოს ბანკიდან ფულის სესხად მიცემა, თუნდა რომ ძალიანაც უჭირდეს. ამითი იგი სამაცდურო კარი, რომლის მიზეზითაც ბანკებს წუნსა სდებენ, სამუდამოდ დახშულ იქმნება და თავად-აზნაურობას ცალკე და ქართველობას საერთოდ ნება ექმნება მაშინ სთქვას, რომ დახსნილ ვარ ბოროტისა და მაცდურებისაგანო.

ხოლო არა გვგონია ბანკის კრებათა კეთილგონიერებამ ამ სასაცილომდე მიადწიოს და გაუფრთხილებელი, გაუსინჯავი და წინ დაუხედავი კაცი ბორძიკს და წაქცევას იმით გადაარჩინოს, რომ მის გამო ნება არ მისცეს არავის სიარულისა.

ზოგი კიდევ იმიტომ ჰრისხავს ბანკებს, რომ მართალია ფული გვიჭირს სასესხებლად, ბანკის ვალს ვიღებთ, მამულებს ვუგირავებთ და როცა პირობას ვალისას და სესხისას ჩვენის დაუდევნელობით ვერ ვუსრულებთ ბანკსა, ბანკი მამულებს გვიყიდის და ცარიელზედ გვსვამსო. მაშ რა უნდა ჰქმნას ბანკმა? ნუ გაგვიყიდის მამულებსაო, თვითონ ჩაიბაროს ჩვენი მამულიო, უპატრონოსო, რაც შემოვა, იმითი ვალი იშოროსო და როცა მოიშორებს, მამული ჩვენვე დაგვიბრუნოსო.

ამ უთავ-ბოლო, მაგრამ სანატრელს აზრს ბევრი მომხრე ჰყავს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მომხრეებზედ სხვა არა გვეთქმის-რა გარდა იმისა, რომ „ნეტარ არიან მორწმუნენი“. ზემოხსენებულ აზრის პატრონებს ან სულ არ ესმით, რა არის ნდობა, „კრედიტი“ და რით გამოიწვევა იგი ნდობა, ან განგებთ თვალ-დახუჭულნი არიან.

ბანკი ჯერ გაჭირებულის კაცის მოციქულია ფულის პატრონის წინაშე და მერმე მისი თავმდებელიცა. მისი კლიენტი ერთის მხრით სესხის ამღებია, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს, მეორეს მხრით – ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ფული ასესხოს. ამით შუა მოქმედობს ბანკი, ვითარცა მოციქული და თავდები. ამ მოქმედებისათვის ბანკის აგებულებაში იმისთანა რამ უნდა იყოს საძირკვლად დადებული, რომ ფულის პატრონი მიენდოს და ბანკის შემწეობით და თავდებობით ფული სესხის ამღებს გადასცეს. მოკლე ვადიან ბანკებს ამისათვის სხვა საძირკველი აქვთ, საადგილ-მამულო ბანკსა – სხვა. ერთი ქვა-კუთხედი საადგილ-მამულო საძირკველისა იგია, რომ სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზედ შემოიტანს ბანკში რაც შემოსატანია და ბანკიც გადასცემს ფულის პატრონსა და მეორე იგია, რომ ფულის პატრონი დარწმუნებულია წინადვე, თუ ვადაზედ სესხის ამღებმა არ შემოიტანა დაწინდული, დაგირავებული მამული გაიყიდება და გასყი-



გაზეთი „ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება, 1903 წ.

დუღის ფასით აუდგება ნასესხები. თუ ამითაც ვერ გაისწორა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავ-მდებისა, მისი პასუხის მგებელია.

ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად. ტფილისისა და ქუთაისის ბანკებმა ათს მილიონზედ მეტი ფული იშოვეს გასასესხებლად ამ სამის უსათუო პირობითა. ეს სამი აუცილებელი პირობა ამ ბანკებისაგან არ არის მოგონილი, არამედ იგი პირობანი წარმომდგარნი არიან თვით კრედიტის ბუნებისაგან, რომელიც უმთაოოდ ყურსაც არ შეიბერტყს ხოლმე და ადგილიდამ არ იძვრის.

თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს მამულების დაგირავებას, თუ პირობის გატყუებას არ უნდა მოსდევდეს თვითონ მამულის გაყიდვა? მაშინ გირავნობა რა შუაშია და რა თამასუქია?

აბა ერთი მიდით გარეშე კაცთან და უბრძანეთ: ფული მასესხე, მამულს დაგიგირავებ იმ პირობით

კი, რომ თუ ნასესხები არ დაგიბრუნე, მამული არ გამიყიდვო. ხომ სასაცილოდ არ ეყოფით ფულის პატრონსა!.. ეს უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც გულწრფელადა სწამთ, რომ მამულების გაუსყიდველობა შესაძლებელია, როცა კაცი მამულის თავდებობით იღებს ვალსა. გაგონილა განა: მამულზედ მანდევი ფულიო და მამულს კი ნუ აზღვევინებო, თუ მე გაგიმტყუნდი და პირობა ვერ აგისრულეო.

აქ, სწორედ მოგახსენოთ, არავითარი ლოლიკა არ არის. იქნება გვითხრან, რომ რაკი ბანკი ჩაიბარებს მამულს, თვითონ მამული თავისის შემოსავლით გადისდის ვალსაო. ამასაც მეტად მოკლე ფეხები აქვს. თუ თვითონ პატრონმა ბანკიდანაც ფული აიღო მამულზედ და მამულს ისე ვერ მოუარა, რომ ვალს გასძლოოდა, ბანკმა საიდამ და როგორ უნდა მოუაროს.

რვენი ტფილისისა და ქუთაისის ბანკები, რომელნიც კრედიტით მოწვეულის სხვისის ფულით მოქმედობენ, როგორ შეძლებენ და შეუძლებელს შესაძლებლად როგორ გარდაჰქმნიან!..

აკი ვამბობთ, ეს მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება. კიდევ ვიტყვით: ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მაგ ნატარებას გამოკლებულნი ვართ“.

როგორც ჩანს, რედაქტორის ამ სვეტის ერთ-ერთი მთავარი ადრესატი იმ დროის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე „სახელგანთქმული მოღვაწე“ აკაკი წერეთელიც იყო.

ზემოთ მოყვანილ წერილს იმავე გაზეთის ფურცლებზე აკაკიც გამოხმაურებია, რომელსაც აღუნიშნავს, „სათავად-აზნაურო ბანკების ვითომდა წუნის-მდებლებში“ მეც ვიგულისხმებოდიო და განუმარტავს, რომ მისი კრიტიკა მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკს შეეხებოდა.

ამავე ტექსტში აკაკი საბანკო სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საგულისხმო გარემოებებზე და ზოგადად, ქარ-

თველების ფინანსებთან და ფულთან დამოკიდებულებებზეც ამხსვილებდა ყურადღებას:

„რაც ერთ დროს კარგია, შეიძლება ისევ მეორე დროს ცუდი იქნეს და რაც ერთს ადგილას სასარგებლოა, იმან მეორე ადგილას ვნების მეტი ვერა მოიტანოს-რა. ამ საზოგადო კანონს ვერ წაუვიდოდა, რასაკვირველია, ვერც ბანკი.“

ჩვენმა ხალხმა, ქართველმა, დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხმარება ფულისა: ან უნდა შესჭამოს და ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდ... ამ ორ გზას ვერ ასცდება. როგორც სამუშაო იარაღს, ანუ გასაცვლელ-გამოსაცვლელ შუამავალს, ფულს ის ვერ წარმოიდგენს;

ოსტორიულად მეომარ და მიწის მუშა ქართველებს ბანკიდან ფული ადვილად გამოჰქონდათ და სარგებლის შეტანის დროს კი ხელ-ცარიელები რჩებოდნენ. რასაკვირველია, რომ მამა-პაპისეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი იმ შემთხვევას გადარჩენოდნენ.

მამა-სისხლად იღებდნენ განზე სადმე სესხს და მით კიდევ უარესს საფრთხეში ვარდებოდნენ: ერთხელაც იყო ის მამულებიც ეკარგებოდათ და განზედაც კიდევ იმ ბანკის წყალობით აღებული ვალი საშვილიშვილოთ ჰლუპავდა დამგირავებებს და სამუდამოდ აუკუღმართებდა მათ ადამიანობასაც“.

ძველი ქართული პრესის მიხედვით, ბანკების და დიდი ფულის გარშემო ტფილისის ღამის „რაინდები“, ქალაქელი კრიმინალებიც აქტიურად ტრიალებდნენ, რომლებიც სხვისი ქონების იოლად დაუფლების იმედად, „დღისითაც უშიშრად დანავარდობდნენ“, დაუჯერებელ, ზოგჯერ სახალისო და „გასაშტერებელ“ ამბებს ატრიალებდნენ და გაზეთების ფურცლებზე წარუშლელ კვალს ტოვებდნენ:

„ესხა ტფილისში მოქმედებენ ერთ ნაირი ჯიბგირები, რომლებიც უფრო ხელოვნურად ასრულებენ თავიანთს საქმეს და, როგორც ამბობენ, სხვა ჯიბგირებზე მეტს საშოვარს შოულობენ. ეს ამხანაგობა შესდგება რვა კაცისაგან და რამდენსამე დასად არის დაყოფილი. ჯიბგირები ისე მშვენივრად, ევროპულად, მორთულნი დადიან, რომ იმათზე ეჭვის აღება ძალიან ძნელია, თუ სადმე საქმეზე ვერ დაიჭირეს.“

დილით საათის ათზედ გაიყოფიან რამდენსამე დასად და ზოგი სახელმწიფო ბანკში მიდის, ზოგი ხაზინაში და ზოგი კიდევ კერძო ბანკებში. პალტოსა და ქუდს მიაბარებენ შვეიცარს, თითონ-კი შებრძანდებიან და დაიწყებენ დარაჯს, თუ ვინ რას იღებს, ანუ რას აბარებს ბანკში და მიღებულს ფულს სად ჩაიდებენ და როგორ ინახვენ. თუ ვინიცობაა, მიმღებმა ფული ისე შეინახა, რომ ადვილი ამოსაღებია, მაშინ დარდიმანდი ჯიბგირი კვალდაკვალ გამოუდგება და სადაც უფრო მოსახერხებელს ადგილს დაინახავს, იქ ამოაძრობს ჯიბიდან ფულს და თავისს გზას გაუდგება“.

„ერთ ქართველ კაცს ჯიბიდან ამოაცალეს ტრამვაის ვაგონში 3, 500 მანეთი. ფული სახელმწიფო ბანკიდან გამოეტანა იმ განზრახვით, რომ სადმე ღვინის სარდაფი გაეღო. როგორცა სთქვეს ცოლმა და ქმარმა, მათთან ვაგონში კინტორად ჩაცმული არავინა მჯდარა. ყოფილან ყველანი ევროპულად ჩაცმულნი, მათ შორის ერთი ცილინდრიანი კაცი, რომელსაც მათთან ერთად გამოეტანა ფული ზემოხსენებულ ბანკიდან.“

ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ბანკიდან აღებული ფული პატრონს არამც თუ შინამდის, ბანკის გარე კარებამდისაც ვერ გამოეტანოს. მოკლე ახალუხებისა და ყვლიან ჩუხტების მაგიერად ჯიბის ოსტატებმა ესხა ფრაკები ჩაიცვეს, დაიხურეს ცილინდრი, გამოიწვიპეს ხელები „პერნატკებით“ დაიჭირეს „ტროსტი“ და დაიწყეს ნავარდობა თავისუფლად. გვიკვირს, პოლიცია რატომ არ ადევნებს თვალ-ყურს ამ ვაუბატონებს. ნუთუ მათის ფიქრით მართო აზიურ ტანისამოსში ჩაცმულს კაცს შეუძლია ავაზაკობის ჩადენა და სხვას არავის?“

„1895 წლის 1 დეკემბერს, ერთი გასაშტერებელი ამბავი მოხდა ტფილისში. დღისით, მეთერთმეტე საათზე, სახელმწიფო ბანკიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც ხელში ეჭირა ერთი მუჭა ფული. უეცრად მივარდა ვიღაცა, გამოსტაცა ხელიდან ის ფული და გაიქცა. ბევრნი გამოუდგნენ, მაგრამ ვერას გახდნენ: მტაცებელი გაიქცა, შეუხვია სერგივის ქუჩას და ჩაიყლაპა.“

რაოდენი გაბედულება უნდა ჰქონდეს კაცს, რაოდენად გულ-დანდობილი უნდა იყოს თავის სიმარჯვეზე, რაოდენად სასაცილოდ უნდა აგდებული ჰყვანდეს მთელი ქვეყანა, რომ თითქმის შუადღისას, ამისთანა თვალსაჩინო ადგილას ეს გასაშტერებელი ამბავი ჩაიდინოს კაცმა ასე უშიშრად“.

„ერთს ტფილისის საკომერციო ბანკის მოხელეს მიუტანია ფულიანი პაკეტი ფოსტის განყოფილებაში სხვაგან გასაგზავნად და თითონ იქვე რაღაც საქმისათვის მიბრუნებულა.“

ამ დროს ფოსტის მოხელესთან მისულა ერთი ვიღაც უცნობი კაცი და უთქვამს, ის ფულიანი პაკეტი ისევ უკან მიბოძეთ, ადრესი მინდა შევცვალო.“

ფოსტის მოხელეს ფულის მიმტანი ჰგონებია, გადაუცია ფული. ქურდი ფულიანად სადღაც გამქრალა“.

დასასრულ კი 1885 წელს მომხდარი ერთი წარმოუდგენელი, „ბედოვლათური“ ამბავი, რომელიც თბილისში, ბანკში დაგირავებულ ერთ-ერთ სახლში მომხდარა:

„წუხელის, მეთორმეტე საათზე, მუხრანიანთ ხიდისა და ვანქის ქუჩის შუა გაუჩნდა ცეცხლი ანდრიას ავაქიანცის სახლს, რომელზედაც ყოფილა ბანკის ვალი. 28-ს ამ სახლზე ვაჭრობა უნდა მომხდარიყო. როდესაც ცეცხლის-მქრობი რაზმი მოვიდა - სახლის ქვემო სართულზე ჯერ კიდევ არ გადასულიყო ცეცხლი. ანდრიას ავაქიანცი დაატუსაღეს.“

ცეცხლი ბანიდამ გაჩენილა, სადაც ავაქიანცი მწვადსა სწავდა თურმე...“ **F**



საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშები

წარმოგიდგენთ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ძირითად ფინანსურ მონაცემებს - 2020 წლის ფინანსური მდგომარეობისა და მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, მარტივ ფორმატში, ერთად თავმოყრილი ნახოთ ყველა ბანკის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ბანკების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშებიდან და "პილარ 3"-ის სტანდარტის ფინანსური ანგარიშებიდან.

ავტორი: შოთა ტყეშელაშვილი



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, 2020 წლის 31 დეკემბერისთვის,
(ათას ლარში)

	2020	2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,601,599	994,479
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	2,098,506	1,591,829
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	14,594,269	12,349,399
სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,527,268	985,293
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,059,946	1,021,568
წმინდა ინვესტიციები ლიზინგში	270,978	256,660
სხვა ფინანსური აქტივები	161,002	115,211
სხვა აქტივები	256,646	247,201
ძირითადი საშუალებები	362,863	329,529
არამატერიალური აქტივები	223,577	159,109
სულ აქტივები	22,398,962	18,255,610

ვალდებულებები		
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	4,485,873	3,593,901
კლიენტის ანგარიშები	12,634,295	10,112,002
სხვა ფინანსური ვალდებულებები	211,242	95,643
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,419,513	1,213,598
სუბორდინირებული ვალი	672,740	591,035
სულ ვალდებულებები	19,568,782	15,772,464

კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	21,014	21,014
აქციის პრემია	521,190	521,190
გაუნაწილებელი მოგება	2,355,105	2,016,119
აქტივებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	-73,130	-62,669
სულ კაპიტალი	2,830,180	2,483,146
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	22,398,962	18,255,610

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება, 2020 წლის 31 დეკემბერი, (ათას ლარში)

	2020	2019
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	827,699	793,24
საპროცენტო შემოსავალი	1,660,838	1,435,106
საპროცენტო ხარჯი	-854,089	-670,422
წმინდა საკომისიო შემოსავალი	168,779	179,126
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	118,585	120,812
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო გაუფასურების ზარალის შემდეგ	764,512	1,001,566
პერსონალის ხარჯი	-206,887	-226,008
ცვეთა და ამორტიზაცია	-64,068	-57,319
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-117,744	-126,927
საოპერაციო ხარჯები	-391,299	-412,359
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიკაციებიდან	-41,015	-
მოგება დაბეგვრამდე	332,198	589,207
მოგების გადასახადის ანაზღაურება/ (ხარჯი)	5,062	-43,522
წლის მოგება	337,260	545,685
სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი) წლის განმავლობაში	19,221	-14,934
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	356,481	530,751



სს „საქართველოს ბანკი“ და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება, 2020 წლის 31 დეკემბერი, (ათას ლარში)

	2020	2019
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,983,188	2,159,205
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,007,581	1,613,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,513,472	1,761,023
კლიენტებზე გაკემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	14,003,526	11,766,754
საინვესტიციო ქონება	234,835	228,666
ძირითადი საშუალებები	346,867	339,726
არამატერიალური აქტივები	110,361	95,471
გასაყიდად გამიზნული აქტივები	62,648	36,284
სულ აქტივები	22,869,316	29,323,223

ვალდებულებები		
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	14,052,479	10,136,695
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3,124,939	3,684,921
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,567,558	2,140,781
სულ ვალდებულებები	19,291,116	16,245,926

კაპიტალი		
